# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 ივლისი, 2014 წელი.

№133 (7514)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴅⴈⴇⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴍⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

# ექს-გიგის ქინძზე ეკიდა ქალაქი

მე უგულავას ფინანსურ დარღვევებზე და თაღლითობებზე კი არ მაქვს ლაპარაკი, არამედ იმ ფაქტობრივ, ხელშესახებ ზიანზე, რაც მან თბილისს მიაყენა ველური, თავაშვებული, გამიზნულად მტრული სამშენებლო ბაკქანალიის დანერგვით.

და ეს არ არის იმაზე ნაკლები ზიანი, ვინემ მილიონების მოპარვაა.

3



# კრიმინალური მხარის ჩრდილში გადატანა“ უნდათ

3

# გადარჩება ქართული მეცნიერება?

5

## საქართველო მსოფლიოს უსაფრთხო ქვეყნების ათეულში მოხვდა

ამერიკული სტატისტიკური საიტი lifestyle8.om იმ სახელმწიფოების ათეულს აქვეყნებს, სადაც კრიმინალური შემთხვევები: მკვლელობა, ყაჩაღობა და ქურდობა, ყველაზე ნაკლებია. ამ ჩამონათვალში საქართველო მე-8 ადგილზეა.

უსაფრთხო სახელმწიფოების სია ასე გამოიყურება: 1 იაპონია, 2. ტაივანი, 3. ჰონგკონგი, 4. სამხრეთ კორეა, 5. არაბთა გაერთიანებული საამიროები, 6. მალტა, 7. ლუქსემბურგი, 8. საქართველო, 9. ბაჰრეინი, 10. სინგაპური.

ამასთან, საიტმა 2014 წლის მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების ათეული „გამოძიების ფედერალური ბიუროს“ ანგარიშის სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით შეადგინა.

— საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. ეს არის უნიკალური ქვეყანა, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქართველო ვიზიტორებს სთავაზობს შავი ზღვის სანაპიროს, სამკურნალო კლიმატს, მინერალურ წყლებს, ეროვნულ პარკებს, კავკასიონის მთებს, გემრიელ კერძებს, მდიდარ კულტურას, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ადგილებს და ქართულ სტუმართმოყვარეობას. საქართველოში კრიმინალის დონე ძალიან დაბალია და ეს ქვეყანა მსოფლიოში ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხოა. საქართველოს ტურისტული პოტენციალი გააჩნია, ეს ქვეყანა ვიზიტორებისათვის მიმზიდველი და უსაფრთხოა. კვლევების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების 98% თავს უსაფრთხოდ გრძნობს, — აცხადებს სტატიის ავტორი.

lifestyle.com-ის სტატიის ავტორი მსოფლიო ბანკისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებს ეყრდნობა.

4

# ორი „სასიხარულო“ ამბავი



# ეგენი პოლიციას უმადლოდნენ, რომ ხალხმა თავ-პირი არ დაამტვრია...

2



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## ედუარდ შევარდნაძეს დამსახურებული პატივისცემა და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელს მსოფლიოში



**აზერბაიჯანის** პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მწუხარება გამოთქვა და წერილობით მიუსამძიმრა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ვაჟს, პაატა შევარდნაძეს.

— შოკირებული ვარ მამათქვენის, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო, რომელიც აზერბაიჯანელი ხალხის დიდი მეგობარი იყო. ედუარდ შევარდნაძე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელსაც დამსახურებული პატივისცემა და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელს მსოფლიოში, შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც მთელი ძალები მოძმე საქართველოს თავდაუზოგავ სამსახურს მიუძღვნა. ჩვენი მეხსიერებიდან არასდროს გაქრება ჩვენი ხალხების ორი უდიდესი შვილის — ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის დიდი მეგობრობა. თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ამ მძიმე დღეს მიიღეთ ჩემი და ჩემი ოჯახის ღრმა მწუხარება და თანაგრძნობა. გულწრფელად ვიზიარებთ თქვენს მწუხარებასა და ტკივილს, — ნათქვამია ილჰამ ალიევის განცხადებაში.

## გერმანიის ერთ-ერთი გამაერთიანებელი

**საქართველოს** ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანც-ვალტერ შტაინმაიერი განცხადებას ავრცელებს.

„გერმანიის გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა ედუარდ შევარდნაძის უმნიშვნელოვანესი გავლენის გარეშე“, — დაწერა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა „ტვიტერზე“.

## პან გი მუნი ქართველ ხალხს უსამძიმრებს

**ედუარდ შევარდნაძის** გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი სამძიმარს გამოთქვამს.

როგორც გაეროს გენერალური მდივნის პრესსპიკერის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ბან გი მუნი ედუარდ შევარდნაძის მიერ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობისას საერთაშორისო არენაზე გაწეულ მნიშვნელოვან წვლილს იხსენებს.

— გენერალური მდივანი მწუხარებას გამოთქვამს ედუარად შევარდნაძის გარდაცვალების გამო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველი წლების რთულ პერიოდში, — ნათქვამია გაეროს გენერალური მდივნის პრესმდივნის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, პან გი მუნი გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ედუარდ შევარდნაძის ოჯახს, საქართველოს მთავრობასა და ქართველ ხალხს.

## მან ერთმანეთს დააკავშირა ხალხები და კონტინენტები

**საქართველოს** ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს ყაზახეთის ელჩი საქართველოში ერმუხამეტ ერტისბაევი.

— შევარდნაძე, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფიზიკური გარდაცვალება არ ნიშნავს პოლიტიკურ გარდაცვალებას. ედუარდ ამბროსის ძე არა მხოლოდ ქართველი ხალხის ისტორიაში, არამედ მსოფლიო ისტორიაში შევიდა, როგორც გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც დააკავშირა ხალხები და კონტინენტები, ისტორიის ირონია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთმა ქართველმა (სტალინმა) ხალხებს შორის რკინის ფარდა აღმართა და ცივი ომი წამოიწყო, მეორემ კი (ედუარდ შევარდნაძემ) ეს ფარდა გაარღვია და ბოლო მოუღო დაპირისპირებას, ნათქვამია ერმუხამეტ ერტისბაევის განცხადებაში.

ამასთან, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმარი გამოთქვა ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა.

— ედუარდ შევარდნაძის პროფესინალიზმმა და საქმისადმი ერთგულებამ, შესანიშნავმა ადამიანურმა თვისებებმა ყველა იმ ადამიანის გულწრფელი პატივისცემა მოუტანა, ვინც პირადად იცნობდა მას, — ნათქვამია ნურსულთან ნაზარბაევის სამძიმრის წერილში.

## ედუარდ შევარდნაძეს სამხედრო პატივით დაკრძალავენ

**საქართველოს** ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოეთში მოწვევები გააგზავნა. ამის შესახებ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა.

მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, სამოქალაქო პანაშვიდი იქნება სამების საკათედრო ტაძარში პარასკევს და შაბათს, ხოლო კრწანისის რეზიდენციაში 9 და 10 ივლისს.

ამასთან, გაიხსნება სამგლოვიარო წიგნი ჯერ კრწანისის რეზიდენციაში, ხოლო შემდეგ სამების საკათედრო ტაძარში, სამგლოვიარო წიგნები გაიხსნება ასევე საქართველოს ყველა საელჩოში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც საქართველოს აქვს წარმომადგენლობა.

მისივე ინფორმაციით, ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვა მოხდება სამხედრო პატივით და კვირას დროშები დაეშვება როგორც მთელ საქართველოში, ასევე საქართველოს საელჩოებში.

### ინფორმაცია

## პრემიერმა ავღანეთში დაღუპული ჩეხი სამხედროების ოჯახებს მიუსამძიმრა

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ISAF-ის მისიაში მონაწილე ჩეხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

— ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ავღანეთში, ISAF-ის მისიაში მონაწილე, ჩეხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვის გამო. საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით, სამძიმარს ვუცხადებ და თანავუგრძნობ ჩეხეთის ხელისუფლებას, ჩეხ ხალხსა და დაღუპულთა ოჯახებს, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

ავღანეთში ტერორისტების თავდასხმის შედეგად ნატოს ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

## გამოიკვეთა შეკითხვები, რომელიც რუსულ მხარეს აქვს

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, პრაღაში ქართველი და რუსი ექსპერტების შეხვედრამ ძალიან ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა.

როგორც მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ეს იყო ტექნიკური ხასიათის შეხვედრა ექსპერტების დონეზე. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს და რუსეთის ეკონომიკის და საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

— ამ შეხვედრამ ჩაიარა ძალიან ნორმალურ ვითარებაში. იყო კითხვები რუსეთის მხრიდან. ამ კითხვებზე ჩვენმა კოლეგებმა გასცეს პასუხები. შემდეგი დისკუსიები იქ არ გამართულა. პირველი შეხვედრისთვის ეს იყო ძალიან კარგი შეხვედრა. გამოიკვეთა ის შეკითხვები, რომელიც აქვს რუსულ მხარეს. შესაბამისად, თუკი საჭირო იქნება, ეს კონსულტაციები გაგრძელდება, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

### სარედაქციო ფოსტიდან: თვითმხილველი

# ეგენი პოლიციას უმადლოდნენ, რომ ხალხმა თავ-პირი არ დაამტვრია...

**ნაციონალთა უტიფრობას და თავხედობას საზღვარი არა აქვს, უძალაუფლებონი კიდევ უფრო მეტად გადადიან ზღვარს, ვიდრე როცა ხელისუფლებაში იყვნენ. ანდა, ალბათ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მაშინ „კანონიერად“ თავხედობდნენ და უტიფრობდნენ, ახლა, შესაბამისად, უკანონოდ.**



აბა, სხვანაირად რა დავარქვათ, თუ არა „უკანონო უტიფრობა და თავხედობა“ ჯერ თვითონ გ. უგულავას საქციელს და მერე გ. უგულავას სასამართლო გარჩევის დღეს საქალაქო სასამართლოს ეზოში ლ. ბეჟაშვილისა და კ. გაბაშვილის თავგასულობას.

ჩემი თვალით, რომ არ მენახა, რაც იქ ხდებოდა, ამ პატარა ბარათს არც მოგწერდით. გ. უგულავას თითო-ოროლა მხარდამჭერის გარდა, აქ უარმავი ხალხი იყო შეკრებილი, რომელიც სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა ახალი ხელისუფლებისგან. და ხალხის ერთ-ერთი მთავარი პრეტენზიაც „ოცნების“ მიმართ სწორედ ეს არის, სამართლიანობის აღდგენის ნელი ტემპი. და აი, როგორც იქნა, სასამართლომ სწორი განაჩენი გამოიტანა, მილიონების მსანსვლელ გ. უგულავას მიმართ, ზღვა ხალხი მიესალმა მოსამართლის ამ სამართლიან განაჩენს, მაგრამ განაჩენით უკმაყოფილონი არიან ნაციონალები, რომელთა რამდენიმე წარმომადგენელიც და, კერძოდ, ლ. ბეჟაშვილი და კ. გაბაშვილი, მარადიულ პარლამენტარ ხ. გოგორიშვილზე აღარაფერს ვამბობ, სწორედ ნაციონალთა ათწლიანი ძალადობის წინააღმდეგ საპროტესტოდ შეკრებილ ზღვა ხალხს დაუპირისპირდნენ. და თუ არა პოლიციელთა სიყოჩაღე და, პირდაპირ ვიტყვი, თავგანწირვა, ეს უტიფარი ნაციონალები შეიძლება დღესაც ჯერ კიდევ საავადმყოფოებში ყოფილიყვნენ თავპირდამტვრეულები.

ახლა კი გამოდის ეს ლ. ბეჟაშვილი და აქეთ ადანაშაულებს პოლიციას, კანონი დაარღვიაო, პარლამენტარი დამიჭირაო, უკანონობა ჩაიდინაო — აი უსირცხვილობაც ამას ჰქვია!

არაპატივცემულო (კონსტიტუცია, მგონი, არ მიკრძალავს ამ სიტყვის ხმარებას!)პარლამენტარო ლ. ბეჟაშვილო, ჯერ ერთი, რომ დაინახე ავად მოზიმზიმე ხალხი, რატომ შენ თვითონ არ გაეცალე, რატომ ჩაყურყუმალავდი იმ აზობოქრებულ მორევში? გ. უგულავასთვის მეგობრობის დასამტკიცებლად? გაღორებულ გ. უგულავას მეგობრობას შენ მაშინ დაუმტკიცებდი, როცა, როგორც კონტროლის პალატის ხელმძღვანელი, ყბას აუკრავდი ბიუჯეტის, ხალხის მილიონების თქვლეფისას! შენ კი ეს არ ქენი, არ ქენი იმიტომ, რომ შენც თანამონაწილე და უშუალო ხელშემწყობი ხარ ყელა იმ ბოროტებისა, რაც ნაციონალებმა ჩაიდინეთ და რასაც აუცილებლად სამართლიანი განაჩენი უნდა მოჰყვეს.

ასე რომ, შენ და შენმა მეგობარმა კ. გაბაშვილმა, გამოჩენილი ნაციონალის გამოჩენილმა მამამ, მადლობა უნდა უთხრათ ჩვენს პოლიციას, რომ დღეს საჩივრის დაწერის თავი გაქვთ და თავთან ერთად ხელებიც გემორჩილებათ.

რაკი გიცნეს, რომ პარლამენიტარი იყავი, პოლიციამ სწორედ იმიტომ გაგაცილა ავად აზობოქრებულ ხალხს, თორემ ხალხს ფეხქვეშ რომ წაეგდე, მერე უკვე ძალიან გვიან იქნებოდა.

**ნუგზარ ხერხეულიძე,**
აქციის მონაწილე

ექს-მერის კიდევ ერთი ბრალდება

# ექს-გიგის ქინძზე ეკიდა ქალაქი

დღეს საქართველოსთვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ამაღელვებელი და სენსიტიური(!) საკითხი, ვიდრე თბილისის ექს-მერის და ექს-გიგის (ექს-გიგი „დანაშაულში ეჭვმიტანილ გ. უგულავად“ იქცა) დაკავებაა.

მან ფეხბურთის მსოფლიო პირველობაც კი დაჩრდილა.

ამაზე ლაპარაკობს, აზრს გამოთქვამს ყველა, ნაადრევად მომწიფებული თინეიჯერებიდან დაწყებული პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ კბილებჩაუსმელი დედაბრებითა და ბერიკაცებით დამთავრებული.

აზრი მღელვარედ გამოითქმება ქუჩაში, ოჯახში, საზოგადოებრივ ტუალეტებშიც კი.

ისე, რომ იტყვიან, სამგლე გოჭივით კი იყო ატეხილი, ყველას, ვინც თვალში არ მოსდიოდა, ცალტვინებს ან სულაც უტვინოებს უწოდებდა.

თვალში კი უმრავლესობის უმრავლესობა არ მოსდიოდა, განსაკუთრებით — მისი არეოპაგი. წინასაარჩევნოდ, სულაც ხელჩართულზე და მიხტომებზე გადავიდა.

ბოლოს უდავოდ თვითონაც ხვდებოდა, რომ საკუტუზკედ იყო განწირული. მაგრამ ამას სასოწარკვეთილი კაცის უაზრო ქმედებად ნუ ჩაუთვლით. გამიზნული და შეთანხმებული სვლები გახლდათ — თავის კრიმინალურ კუდებს პოლიტიკური მაქმანით ნიღბავდა და მომხრე-დამცველებს იმრავლებდა.

მიაღწია კიდეც ჩანაფიქრს. ქვეყანა დაყრუვდა გიგისტების ზრიალით. მაგრამ ლენჯოდან კარგად ჩანს კროლი კაკალი — საკმარისია ვაშაძის, ბოკერიას, ბეჟაშვილის და სხვათა ასევე სამგლე გოჭური გულმდუღარე დამცავი გამოსვლები მოითმინო.

გამოძიება თბილისის ყოფილ მერს მილიონობით შეჭმულ ფულს ედავება. ნაციონალური მოძრაობა ფიცით იწყვეტს ყველაფერს, გიგი მაგას არ იზამდაო. და არის ახლა „იზამდა-არიზამდას“ ჯახა-ჯუხი.

მაგრამ მე იმისთვის კი არ ამიღია ხელთ კალამი, ის ვამტკიცო, იზამდა თუ არ იზამდა. ჯერ ერთი „ჩემთვის დღესავით არის ნათელი“, რომ აუცილებლად იზამდა. მეორეც, მე სხვა, ჩემეული ბრალდებაც მინდა გავაცნო მკითხველს. თბილისის მერმა ისე საფუძვლიანად, ისე გამიზნულად მოასოდომგომორა თბილისი, რომ ამის გამკეთებელი ყველაფერზე ხელის მომწერია.

ანუ, მე უგულავას ფინანსურ დარღვევებზე და თაღლითობებზე კი არ მაქვს ლაპარაკი, არამედ იმ ფაქტობრივ, ხელშესახებ ზიანზე, რაც მან თბილისს მიაყენა ველური, თავაშვებული, გამიზნულად მტრული სამშენებლო ბაკქანალიის დანერგვით.

და ეს არ არის იმაზე ნაკლები ზიანი, ვინემ მილიონების მოპარვაა.

რატომ არის ვითომ სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით ნაკლები ბოროტება, მაგალითად ის, რაც სპორტის სასახლის მიმდებარედ, „აკადემგორაზე“ მოხდა (ხდება) მისი სწორედაც მტაცებლური განაშენიანებით?

რა, გიგი უგულავამ, წლების მანძილზე დედაქალაქის მერმა, არ იცოდა რაც იქ ხდებოდა? თუ არ იცოდა, კიდევ უარესი, ესე იგი ის არაკომპეტენტური, ფეხებზემკიდია მოხელე იყო და ტყუილად იღებდა ხელფასს!

თუ იცოდა (იცოდა, არხეინად იყავით!) და მაინც მისცა ნებართვა, მერი დამნაშავეა და არა მხოლოდ ზნეობრივად, არამედ სწორედაც, სისხლის სამართლებრივად, თუნდაც ამ ნებართვებისთვის ფული არ ჰქონდეს აღებული, რადგან აქ აშენებული ქვის ჯუნგლი სწორედ რომ დანაშაულია და იგი არამცდაარამც არ უნდა დაეშვა თავისი ქალაქის მოყვარულ ხელმძღვანელს. მაგრამ საქმე ის არის, რომ „ნებართვებში“ ფული არ აუღია“, წმინდა წყლის რიტორიკაა, თანაც გულუბრყვილო. სწორედ რომ „აუღია“, სხვაგვარად, მართლა გიჟი კი არ იყო, ნებართვები გაეცა, რაც აშკარად ჩანს, რომ პატიოსანი კაცი ამ ნებართვებს არამცდაარამც არ გასცემდა, ანუ არ გააცემინებდა.

იმათთვის, ვისაც ამ ბოლო ხანს „აკადემგორა“ არ უნახავს. თქვენ გახსოვთ მწვანეში ჩაყურსული სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტით დასახლებული სააკადემიო გორაკი (როგორც ხალხი არაოფიციალურად უწოდებდა ამ ტერიტორიას). და აი, რამდენიმე წელია ექსკავატორიანი მეკობრეები შეესივნენ მას და, როგორც იტყვიან, ერთიანად გადაძოვეს.

საბჭოთა პერიოდში გაშენებული თბილისის მასივები ახლაც ცოცხლად გვაქვს. შეიძლება არქიტექტურულად არ ბრწყინავენ საბურთალოს, დიღმის (დიდიც და პატარაც), ვარკეთილის, ვაზისუბნის, ლილოს, მუხიანის, გლდანის, თემქის მასივები, მაგრამ არის მშვენიერი სივრცე, დაცულია კორპუსთა შორის დაცილება, არის შიდაეზოები (და ამდენად საშუალებაც გასამწვანებლად), არის სუნთქვის შესაძლებლობა, ბავშვების სათამაშო ადგილები...

დღეს აკადემგორა ქცეულია ერთმანეთთან მიჯრით აშენებული მაღლივი კორპუსების ჯუნგლად, სადაც მზის სხივიც კი ვერ აღწევს, სადაც გზის გაგნება ჭირს, სადაც, უბრალოდ, კაცი თავს მყუდროდ ვერ გრძნობს.

უანგაროდ ააგებინეთ სამშენებლო ყაჩაღებს ეს ქვის მაჯლაჯუნა, ბატონო უგულავა? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ თუნდაც უანგაროდ გექნათ, როგორც ზემოთ ვთქვი, მაინც სათოკი დამნაშავე ხართ.

ან სპორტის სასახლის წინა მოედანი რას დაამსგავსეთ. საეჭვო დანიშნულების შენობებით გატენეთ ის, „მაკდონალდსიო“, საშაქარლამოო, ესაო, ისაო, სასახლემდე მისვლა ჭირს, ხალხი გვერდს ვერ უქცევს ორ-სამსართულიან კოლოფებს.

ახლა მერიის უკან რა ხდება, იმის დანახვაში რამ შეგიშალათ ხელი, კაბინეტის ფანჯრიდან გადაგეხედათ.

ცამდე მართალიც რომ იყოთ, ბატონო უგულავა, ეს ბრალი, მაინც გრჩებათ — თბილისის სიძულვილი! თქვენ როგორც ცხონებული გია ჭელიძე იტყოდა, ქინძზე გეკიდათ ქალაქი და ამიტომ უფლება არ გქონდათ, ყოფილიყავით მისი ხელმძღვანელი, ამიტომ თქვენ სასტიკად უნდა დაისაჯოთ!

**ალეკო ასლანიშვილი**

პოლიტიკური დევნა?

# კრიმინალური მხარის ჩრდილში გადატანა უნდათ

**„საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა უნიკალური მოვლენაა. აზერბაიჯანმა ძალიან ხშირად გაუმართა ხელი საქართველოს, ძალიან ხშირად უმეგობრა ისე, როგორც სახელმწიფოთა შორის მეგობრობას არა ვართ შეჩვეული. ამ ფონზე მხოლოდ იმიტომ, რომ შიდა პოლიტიკური მოტივებით რაღაცა მახინაციები დაიწყო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მეც ვთვლი, რომ არ ღირდა ამ ურთიერთობის ამოსვრა“, — აცხადებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, აუცილებელი არაა „ნაციონალური მოძრაობის“ არგუმენტები გახდეს მსჯელობის საგანი.**

**For.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**



**— ვიცე-პრემიერი ამტკიცებს, რომ ბაქოდან გამომგზავრებისას უშუალოდ ირმა ნადირაშვილს ჩანთაში 350 ათასი დოლარი ჰქონდა. უმცირესობის მტკიცებით, მათი ვიზიტის მიზანი იყო, თავიდან აეცილებინათ მარნეულში სახელმწიფოსთვის ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება. ბატონო რამაზ, სარწმუნოა თქვენთვის ეს ინფორმაცია?**

— ინფორმაცია სარწმუნოა იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა სიტუაციაში ისე იქცევა ადამიანი, როგორც ამბობს. გავიხსენოთ ბურჯანაძის პუტინთან ვიზიტი. „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ერთ-ერთი მთვარი, ვინც იძახდა, რომ ბურჯანაძეს რა უფლება ჰქონდა ურთიერთობა მოეწესრიგებინა რუსეთთან, ის ოპოზიციის წარმომადგენელია და მას არანაირი ძალაუფლება არ გააჩნიაო. ეს მაშინ ლოგიკურად გამოიყურებოდა. მაშინ, ამავე ლოგიკით რა უნდოდა აზერბაიჯანში ამ ახალგაზრდებს, არც მათ არ აქვთ არანაირი უფლებამოსილება და წესით, არც მათ არ უნდა ჰქონოდათ კონფლიქტის მოწესრიგების ნება. თავისთავად ეს მოტივია სიცრუე.

**— თუ უმცირესობის წევრების განზრახვა ჰქონდათ მარნეულში ეთნიკურ ნიადაგზე შუღლის თავიდან აცილება, მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ იყო აუცილებელი აზერბაიჯანში ჩასვლა, როცა საქართველოში არსებობს აზერბაიჯანის საელჩო, საკონსულო, დიასპორა...**

— როგორც იტყვიან, თეთრი ძაფით არის ნაკერი. აზერბაიჯანში ყოფნის გამართლება იყო მათი მიზანი, როცა ამ განცხადებას აკეთებდნენ. რა თქმა უნდა, ჯერ თქვენს მიერ ჩამოთვლილი ნაბიჯები უნდა გადაედგათ და თან, უნდა ენახათ ეს შესაძლო კონფლიქტი მიდის კი აზერბაიჯანამდე? თუ აზერბაიჯანის ხელისუფლება არაფერ შუაში არაა კონფლიქტთან, მაშინ მათთან რატომ მიდიხარ, თუ არა ფინანსური დაინტერესება? ქოთანს ყურს საიდანაც უნდათ იქიდან მოაბამენ, მაგრამ აუცილებელი არაა, რომ მათი არგუმენტები გახდეს მსჯელობის საგანი.

**— კახი კალაძე ამტკიცებს, რომ ირმა ნადირაშვილს და ზურაბ ჯაფარიძეს ბაქოდან „შავი ფული“ მოჰქონდათ - დაახლოებით 1 მილიონის ოდენობით, რის გამოც 4 საათის განმავლობაში დაკავებული იყვნენ. მისი თქმით, დეტალები ცნობილია, მაგრამ ეს ყველაფერი მიჩუმათდა, რადგან სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების თემა იყო. როგორ ფიქრობთ, ეს არის ის თემა, რომელიც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის გამო უნდა ჩაწყნარებულიყო?**

— კალაძეს შესაბამისი სამსახურებიდან აქვს ეს ინფორმაცია და აზერბაიჯანში საქართველოს ელჩიც უშუალო წყაროა, იმიტომ, რომ უშუალოდ იყო ჩართული. თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა უნიკალური მოვლენაა და ეს უნიკალაური მოვლენა არის სწორედ იმით, რომ აზერბაიჯანმა ძალიან ხშირად გაუმართა ხელი სახელმწიფოს, ძალიან ხშირად უმეგობრა ისე, როგორც სახელმწიფოთა შორის მეგობრობას არა ვართ შეჩვეული. ამ ფონზე მხოლოდ იმიტომ, რომ შიდა პოლიტიკური მოტივებით რაღაცა მახინაციები დაიწყო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მეც ვთვლი, რომ არ ღირდა ამ ურთიერთობის ამოსვრა. მივესალმები საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომ შეწყვიტა ამ მიმართულებით მუშაობა.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესში შედის ამ რეგიონში ეთნიკურ ნიადაგზე ვითარების ესკალაცია?**

— ეს ფაქტები საკმარისია იმისთვის, რომ ეჭვი გაგიჩნდეს. ეჭვი გაჩნდეს იმისა, რომ მათ ინტერესში იყო საკუთარი ნათქვამის გამართლება. მეორე მხრივ, თავისთავად „ნაციონალური მოძრაობა“ არის ის პარტია, რომელიც ძალიან ხშირად მიდის კანონის დარღვევაზე და ამის არაერთი მაგალითი გვინახავს. რა საჭიროა კიდევ დამატებითი არგუმენტები. დამნაშავეს ხომ ძალიან ხშირად იმის საფუძველზე ეძებენ, აქვს თუ არა დანაშაული ჩადენილი ადრე, და თუ ადამიანს აქვს მიდრეკილება დანაშაულის მიმართ, იგი უფრო ადვილად ხდება ბრალდებული.

ანალოგიურად, მიდრეკილება დანაშაულის მიმართ „ნაციონალურ მოძრაობას“ როგორც ჯგუფს, ძალიან ხშირად აქვს გამოვლენილი და რატომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაღაცა ურთიერთობის მოგვარება იყო მათი მიზანი, როდესაც გვერდით არის ალტერნატიული უფრო დამაჯერებელი ვერსია?! სამწუხაროდ, მათი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ეს უფრო დამაჯერებელი ვერსიაა. „ნაციონალურ მოძრაობას“ ან თავის წარსულზე და შესაბამის ადამიანებზე, უნდა ეთქვა უარი ვინც ადრე იყვნენ კონფლიქტში ჩართული, ეთანამშრომლა გამოძიებასთან და აი, მერე მის მიმართ ეჭვები არ ექნებოდათ.

**— გამოძიების მტკიცებით, გიგი უგულავას ქვისლი იმ ბრალდებით დააკავეს, რომ საარჩევნოდ მილიონნახევარი დოლარი შემოჰქონდა ქვეყანაში. რამდენად მართებს საგამოძიებო უწყებას აქტიური მუშაობა იმისათვის, რომ „შავი ფულის“ შემოტანა არ მოხდეს ქვეყანაში და არ მოხდეს მისი გამოყენება ვითარების დესტაბილიზაციისთვის...**

— „შავი ფული“ იმიტომაა შავი, რომ მას შავი საქმის გაკეთება შეუძლია. „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ დევნაზე იმიტომაც ლაპარაკობს ასე ჯიუტად, რომ კრიმინალური მხარე ჩრდილში გადაიტანოს, აბსოლუტურად გაუგებარი იქნება სხვაგვარად ფიქრი.

**— რაც შეეხება უგულავასთვის ბრალის წაყენებას, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები თვლიან, რომ გრძელდება პოლიტიკური ზეწოლა, ეს მაშინ, როდესაც ბრალი წაუყენეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ყოფილ პრეზიდენტს...**

— როგორც კი სარკოზიმ განაცხადა, რომ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას, გაგრძელდა მის მიმართ სამართლებლივი დევნა. იქაც კი არაა პოლიტიკურ სკანდალად ქცეული ეს სამართლებრივი საქმე. ჩნდება კითხვა, თუ საფრანგეთში არ ხდება პოლიტიკური პარალელების გავლება, მაშინ რატომ — საქართველოში? საქართველოში თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ჟურნალისტიკა ქმნის სამწუხაროდ ამის საფუძველს. იმიტომ, რომ საზოგადოებრივ აზრს აქაც და იქაც ჟურნალისტიკა მართავს. მეორეც, სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ ნდობა საფრანგეთში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში, ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ესეც დასახელდეს.

სარკოზის თემა ერთ-ერთი ახალი მოვლენაა, ამდენად, მართლაც ყველას გაგვიჩნდა ასოციაცია და კავშირი ჩვენს პროცესებთან. სარკოზის თემაზე არც საერთაშორისო საზოგადოებას არა აქვს ის დამოკიდებულება, რაც სამწუხაროდ ჩვენს მიმართ აქვთ, როცა გვარიგებენ, რომ პოლიტიკური მიმართულება არ მიიღოს სამართლებრივმა დევნამო. ამიტომ, არა მარტო ჩვენი რეალობა, არამედ დასავლეთის განსხვავებული დამოკიდებულება, განსხვავებული სტანდარტები ევროპული ქვეყნისა და ჩვენნაირი ქვეყნის მიმართ აღსანიშნავია და გულდასწყვეტიც.

**თამთა ქარჩავა**

## რა მოგველის მომავალში?

# ორი „სასიხარულო“ ამბავი

**განვლილმა დღეებმა არცთუ სასიამოვნო ორი ამბავი მოგვიტანა. მართალია, ორივე ხვალ არ ასრულდება, მაგრამ თადარიგი დღეიდანვეა დასაჭერი თორემ, თავსაც დავკარგავთ და ქვეყანასაც, სამშობლო რომ ჰქვია.**

ორივე ამბავს ჩვენზე, რიგითებზე გავლენა უნდა მოეხდინა, მაგრამ რახან მთავრობამ და მედიამ, ყურადღება არ მიაქციეს, ჩვენც არხეინად გავატარეთ და განვაგრძეთ ცხოვრება. ყოველდღიური პრობლემებით დატვირთულებს, სხვაზე, მე ვიტყოდი გაცილებით სერიოზულზე ფიქრისთვის დრო აღარ გვრჩება. არადა, ორივე მათგანი გაცილებით მეტია, ვიდრე ადგილობრივი არჩევნები, უგულავას დაჭერა, ასოცირებული წევრობა და ა.შ.

მაინც რა საკითხებთან გვაქვს საქმე, ესოდენ ყურადღებას რომ მოითხოვს როგორც ხელისუფლებისგან, ისე ნებისმიერი ჩვენგანისგან?

**პირველი ტერორიზმი და აქედან გამომდინარე მოვლენებია, მეორე - საქართველოს კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობა.**

პირველთან დაკავშირებით, მიმდინარე თვის დასაწყისში ინტერნეტში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ერაყში მოქმედი „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ემუქრება ერაყის მთლიანობას და მის ტერიტორიაზე მინიმუმ სამი – ქურთისტანის, სუნიტებისა და შიიტების სახელმწიფოს შექმნას გეგმავს, მზად არის გააფართოვოს საკუთარი გავლენის არეალი ჩინეთიდან დაწყებული - ესპანეთის ჩათვლით, და ჩრდილოეთიდან, ყაზახეთით დაწყებული ეკვატორიული აფრიკის სახელმწიფოების საზღვრებამდე.

უზარმაზარი, უკიდეგანო სახელმწიფოს შექმნას ჯიჰადისტები მომავალი ხუთი წლის განმავლობაში აპირებენ. და თუ ერაყის ტერიტორიის საკმაო ნაწილის დროის მცირე მონაკვეთში, დაპყრობით თუ ვიმსჯელებთ – გაფართოების გლობალური გეგმა არცთუ უსაფუძვლოდ მოგვეჩვენება.

მაინც რომელ ტერიტორიებს დაადგეს თვალი ჯიჰადისტებმა? – ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, ინდოეთის, ავღანეთის, პაკისტანის, ცენტრალური აზიის ქვეყნების, ესპანეთის, კავკასიის, ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოების.

**გასულ კვირას ბოევიკებმა ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს ნაცვლად - ისლამის ხალიფატის სახელწოდებით - სახელმწიფო გამოაცხადეს და ლიდერად აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი დაასახელეს. ახლად გამომცხვარმა ხალიფმა მოითხოვა მთელი მსოფლიოს მუსლიმანებისგან ფიცი – ერთგულებისა და დახმარებისა ახალი სახელმწიფოს მშენებლობისთვის.**

არსებული ცნობების მიხედვით, ამ „სახელმწიფოს“ წევრები აქტიურად ითრევენ თავის რიგებში ყაზახებს. ახალი ხალიფატი გამოირჩევა მაღალი ორგანიზებულობით და ბრძოლის უნარიანობით, რამაც მას მისცა საშუალება, დროის მცირე მონაკვეთში, დაეპყრო სირიის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი და ერაყის ჩრდილო-დასავლეთი, მათ შორის, სიდიდით მეორე ქალაქი მოსული და სიკვდილით დასჯილი დიქტატორის ჰუსეინის მშობლიური ქალაქი ტიკრიტი.

მედიის მიხედვით, მოსულიდან თითქმის ნახევარი მილიონი იქ მცხოვრები გაიქცა – ქალაქში ბოევიკებმა ხელთ ჩაიგდეს ბანკების აქტივები - 429 მილიონი დოლარი. ბოევიკები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და ბაღდადზე შეტევისთვის ემზადებიან. გამარჯვების შემთხვევაში, ახალი ხალიფატი, არა მარტო შეძლებს ახლო აღმოსავლეთის რუკის გადაკეთებას, არამედ სრულიად ახალი, ჯერაც უცხო მორალურ-პოლიტიკური, განსაკუთრებით რელიგიური სულისკვეთების შეტანას ახლო აღმოსავლეთსა და მთელს მსოფლიოში.

ახალი „სახელმწიფოს“ მისწრაფებებმა დააფიქრეს აშშ-ს ადმინისტრაცია, თუმცა, ერაყის მთავრობის დახმარებისთვის მას ჯერჯერობით პრაქტიკული ქმედებისკენ ფეხი ვერ გადაადგმევინეს. რით არის ეს გამოწვეული? უპირველესად იმით, რომ ვაშინგტონს არ სურს კონფლიქტში ჩართვა. იმ კონფლიქტში, რომელიც თვითონ წამოიწყო, მილიონობით დოლარი დახარჯა, მასთან ერთად ხუთი ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შესწირა.

დიდი-დიდი, რასაც ვაშინგტონი იღებს ერაყის მთავრობის დასახმარებლად – 300 სამხედრო სპეციალისტია, რომლებიც უკვე იმყოფებიან ბაღდადში. დახმარების მთხოვნელ ნური ალ-მალიქის ვაშინგტონი ფართომასშტაბიანი სამხედრო ჩარევით ვერ დაეხმარება, ვინაიდან საკუთარი მოსახლეობის მრისხანებას დაიმსახურებს, რომელიც ერაყის ომის დროს დაბეჯითებით ითხოვდა ჯარის შინ დაბრუნებას.

მაგრამ მარტო ამიტომ იკავებს თავს ვაშინგტონი აქტიური სამხედრო ჩარევისგან? ალბათ, არა.

ახალი ხალიფატი უცბად არ გაჩენილა. მისი ბოევიკები, რა ხანია სირიაში იბრძვიან, ცხადია, ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ მორალურ, ფინანსურ, საინფორმაციო და სამხედრო დახმარებას აშშ უწევდა, აგრეთვე სპარსეთის ყურის ნავთობით და ფულით მდიდარი საამიროები, საუდის არაბეთი. ეს ქვეყნები, დასავლეთთან ერთად, ანტიასადურ კოალიციას ქმნიან და ძალას არ იშურებენ მის დასამხობად. იარაღითა და ფულით მომარაგების გარდა, „ხალიფატის“ ბოევიკები, მორალურ დახმარებასაც იღებენ დასავლეთიდან.

ყოველივე აღნიშნულის წყალობით სირიაში გავარჯიშებულმა ბოევიკებმა გეზი ერაყისკენ აიღეს – თანაც წარმატებით. ვაშინგტონი გმობს ხალიფატის მოქმედებას, მაგრამ საკითხავია რამდენად გულახდილად? ხალიფატის სამხედრო ძალას თუ სირიაში უწევდა დახმარებას ვაშინგტონი, ერაყში რატომ ეწინააღმდეგება? და რამდენადაა ეს წინააღმდეგობა სიმართლის მატარებელი?

სირია-ერაყში მებრძოლი სუნიტი ბოევიკები ერთი და იგივენი არიან, მაგრამ ასადის სირია - ამერიკისთვის მიუღებელია. რაც შეეხება ბაღდადს, არც მისი ხელისუფლება მოსწონს ვაშინგტონს. ნური ალ-მალიქის მთავრობამ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა შიიტურ ირანთან.

აშშ-ის პოლიტიკა, ერთი შეხედვით, პრიმიტიულია. მაგრამ იქნებ სულაც არ არის პრიმიტიული? იქნებ ზომაზე მეტად ჩახლართულია? როგორც ჩანს, ეს ასეა.

ვაშინგტონს გადაწყვეტილი აქვს არა მარტო ერაყის დაყოფა, არამედ სხვა სისტემის შექმნა ახლო აღმოსავლეთში, რისთვისაც ტერორისტებთან ურთიერთობასაც არ გამორიცხავს. ერაყში ვიზიტის დროს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ ერაყის პრემიერ-მინისტრ ალ-მალიქის ურჩია, კოალიციური მთავრობის შექმნა და მასში სუნიტებისა და ქურთების შეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაღდადი ამერიკისგან სერიოზულ დახმარებას ვერ მიიღებს.



მაგრამ უშველის ალ-მალიქის კოალიციური მთავრობა? იქნებ კოალიცია ამერიკელთა ახალი ფანდია, ერაყის დაშლის გზაზე?

ის, რომ ვაშინგტონს დაშლილი ერაყი აწყობს, ფაქტია. სუნიტებად, შიიტებად და ქურთებად დაშლილი ერაყი კარგა ხანს მოუნდება შიდა ვნებათაღელვის გამკლავებას. ამასობაში ვაშინგტონი მიხედავს თავს და ერაყში ნავთობის მოპოვების საქმეს. ტკბილი ტორტის ნაჭერზე პრეტენზიას სხვებიც აცხადებენ, მაგრამ ვაშინგტონი სხვაა.

ახლო აღმოსავლეთის გადანაწილების საქმეში ახალ ხალიფატს მთავარი თუ არა, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავება. მისი მოქმედება დღეს წყალს ასხამს ვაშინგტონის წისქვილს, მაგრამ ხვალ დიდ თავსატკივარს შეუქმნის მას.

ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მეტ-ნაკლები ხელსაყრელი პირობებია შექმნილი სახალიფოს დასაყრდენად. მარტო ის რად ღირს, საქართველოში მცხოვრები რადიკალი ისლამისტები სირიაში რომ იბრძვიან ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ? ზოგი მათგანი გამორჩეული ბოევიკია და მოჯაჰედთა რიგებში პატივისცემითა და გავლენით სარგებლობს.

საქართველოს ყოფილი ხელისუფლების როლი ბოევიკთა წვრთნისა და ტრანსპორტირების საქმეში მნიშვნელოვანი იყო. ამერიკელი მკვლევარი ჯატრასი თავის წიგნში დაწვრილებით აღწერდა ხელისუფლება-ბოევიკთა კონტაქტებზე. ის ასახელებდა შსს ყოფილ მაღალჩინოსან ლორთქიფანიძეს, რომელიც სხვებთან ერთად წარმართავდა ამ საქმეს. ჯატრასი წერდა თბილისში გამართულ ფარულ ისლამურ თავყრილობებზე, რომლებშიც „ალ-ქაიდას“ წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას.

რადიკალურ ისლამთან ნაციონალების კავშირზე ქართულ მედიაშიც გაიელვა, მაგრამ გაიელვა და გაქრა. არადა, ეს ისეთი თემაა, სერიოზულ დაფიქრებას რომ საჭიროებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლება, უდავოდ არასათანადო ყურადღებას აქცევს რადიკალური ისლამის საკითხებს. არადა, მეზობელ აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ისინი სერიოზული გავლენით სარგებლობენ.

არც ქართული დიპლომატიაა სათანადო დონეზე, რათა ისლამური პრობლემები გაითავისოს, შეისწავლოს და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს. დასავლეთს აყოლილი ქართული დიპლომატია - აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დანამატადაა ქცეული და მისი დირექტივების შესრულების გარდა, სხვა საკითხებით თავს არ იწუხებს. საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ცეცხლოვანი კერიდან სულ ახლო გეოგრაფიულ ვითარებაში უწევს არსებობა.

აშშ-ზე აყოლის შედეგად საქართველოს დიპლომატიამ ზურგი შეაქცია ირანს და ისეთი აუტანელი პირობები შეუქმნა 80-მილიონიან სახელმწიფოს, ავ თვალს არ ენახება.

საქართველომ ცალმხრივად გააუქმა ირანთან დადებული უვიზო მიმოსვლა მაშინ, როცა ჩვენი მოქალაქეები უვიზოდ და უპრობლემოდ მოგზაურობენ ირანში; აღკვეთა ირანელთა (ფიზიკურ და იურიდიულ პირთა) მიერ საქართველოს ბანკებით სარგებლობის უფლება, შეაფერხა ბიზნესურთიერთობები და ა.შ. არადა, ირანი, რომელიც განუხრელად იბრძვის რადიკალური ისლამის წინააღმდეგ, საქართველოს მყარი პარტნიორი იქნებოდა ამ საქმეში.

არანაკლები პარტნიორობის გაწევა შეეძლო რუსეთსაც, რომელიც რა ხანია იბრძვის ისლამური რადიკალიზმის წინააღმდეგ. მკითხველს ახსოვს ელცინის ხელისუფლების დროს, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანა. მაშინ რუსეთი მოატყუა სააკაშვილის ხელისუფლებამ, დაპირდა რა მას საქართველოში ანტიტერორისტული, ერთობლივი ბაზის შექმნა. დაპირება არ შესრულდა. მაგრამ, რომ შესრულებულიყო, იქნებ ბარიერი ყოფილიყო საომარი ისტერიკის ესკალაციისა და ომის გაჩაღების წინააღმდეგ? მაგრამ...

ამერიკელთა წაქეზებით, სააკაშვილი ისე იყო გათავხედებული, რომ მას ვერაფერი შეაჩერებდა. სახალიფოს შორსმიმავალი გეგმების საწინააღმდეგოდ თუ ვინმე გაუწევს საქართველოს მხარდაჭერას – მეზობელი რუსეთია. რაც შეეხება „სტრატეგიულ პარტნიორად“ წოდებულ აშშ-ს, მას ნაკლებად აინტერესებს სხვა სახელმწიფოთა ვარამი, ერთიანობა და მთლიანობა. სადაც ის ჩაერია (ის კი ერევა ყველგან), უმძიმესი ვითარება შეიქმნა. რომელი ერთი ჩამოვთვალო – ლიბია, იუგოსლავია, ავღანეთი, ერაყი, საქართველო, უკრაინა...

საქართველო რა შუაშიაო, იტყვის მავანი – პირდაპირ, ბატონებო. არ ყოფილიყო ამერიკელთა წაქეზებით „ნატო, ნატოს“ ძახილი, არ იქნებოდა ცხინვალის ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ნატოს საქართველოში შემოსვლის შიშით შექმნა რუსეთმა სამხედრო ბაზები ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სინამდვილეს თვალის გასწორება უნდა და არა არიდება, დაშვებულ შეცდომებს – აღიარება, ხოლო შემდეგ - გამოსწორება.

მომავალ საფრთხეებთან გამკლავებას (თან ეს საფრთხეები მეტად ახლოა) ამერიკელთა მხარდაჭერით ვერ შევძლებთ, ვინაიდან ასეთი მხარდაჭერის იმედი სხვა განზომილებით მაფიქრალი ამერიკისგან შეუძლებელია. რუსული გამოთქმისა არ იყოს - „ხეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა“ - პატარა საქართველო დიდ გეოპოლიტიკურ ჭიდილში, ნაფოტია. რა გასაკვირია, საქართველოს ნაფოტობა, როდესაც 45-მილიონიანი უკრაინაც კი აშშ-ის ხელში ნაფოტია. ვიღაცამ მოსწრებულად თქვა - ამერიკა ბოლო უკრაინელამდე იომებს რუსეთთანო.

**და რახან ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასაც შევეხეთ, თვალი შევავლოთ მეორე „სასიხარულო“ ამბავს. აშშ-ს კვლევითმა ცენტრმა გამოაქვეყნა მსოფლიო დემოგრაფიული მონაცემები, რომლის მიხედვით, დედამიწაზე შეინიშნება მოსახლეობის სწრაფი ზრდა. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ უკვე გადააჭარბა 7 მილიარდს. მზარდი ქვეყნების რიცხვში ჩინეთი და ინდოეთია. ამ ქვეყნებში მოსახლეობა მილიარდნახევარს აჭარბებს. ისინი შესაბამისად პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.**

**რაც შეეხება მესამე ადგილს, მას ნიგერია დაისაკუთრებს. ამ ქვეყანაში „ბეიბი-ბუმია“ მოსალოდნელი. მეზობელ რუსეთში, სადაც სადღეისოდ 140 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მოსალოდნელია კლება, მაგრამ არა ისეთი, რასაც ადრე წერდნენ. 132 მილიონამდე შემცირდება რუსეთის მოსახლეობა და ამ ციფრზე დარჩება მეტ-ნაკლები კლება-მატებით.**

მძიმე მომავალს წინასწარმეტყველებს ამერიკული კვლევა ბულგარეთს, საქართველოს მოსახლეობაზე სამჯერ დიდ ქვეყანას. გაუსაძლისი სოციალური პირობები აიძულებს ბულგარელებს, სხვა ქვეყნებში გადასახლდნენ და მასპინძელ ერებში აითქვიფონ. ბულგარელებს მომაკვდავ ერებში მოიხსენიებენ, ისე, როგორც საქართველოს.

მოხსენებაში აღნიშნულია იმ ნაბიჯებზე, რასაც საქართველოს ხელისუფლება დგამს ვითარების გამოსასწორებლად. მაგრამ უშველის კოსმეტიკური ქმედება მძიმე დემოგრაფიულ ვითარებას? ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის დოკუმენტზე ხელმოწერის სიკეთეებს საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას უკავშირებს. არადა, თუ ეს სრული სიგრძე-სიგანით ამოქმედდა, საქართველოს სამმილიონიანი მოსახლეობის დამკავებელი აღარავინ იქნება. შიმშილიდან თავის დახსნისთვის ყველა ევროკავშირის ქვეყნებს მიაწყდება, ქვეყანა კი დარჩება ხანდაზმული ასაკის ადამიანებისა და კიდევ იმათ ხარჯზე, ვინც სხვა ქვეყნებიდან ჩამოვა.

**2050 წლისთვის მძიმე დემოგრაფიული სურათი შეიქმნება, თუმცა, რაღა 2050 წლისთვის, ეს სურათი უკვე შექმნილია, რის შესახებაც დაბეჯითებით გვახსენებს პროფესორი ანზორ თოთაძე, მაგრამ მერე რა? ის, ცოტა რამ, რაც გაკეთდა და კეთდება, ერს ვერ გადაარჩენს. რადიკალური ზომებისთვის კი ცოდნა-გამოცდილება და სახელმწიფოებრივი აზროვნებაა საჭირო - ესოდენ დიდი დეფიციტი ხელისუფლებაში.**



ამ ორ „სასიხარულო“ ამბავს ხელისუფლება ჩიტის მოტანილად ჩათვლის და თავის „მოღვაწეობას“ გააგრძელებს, ანუ იმაზე ფიქრსა და ჭმუნვას – მნიშვნელოვან დოკუმენტზე ვინ უნდა მოაწეროს ხელი – პრემიერმა თუ პრეზიდენტმა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## აკადემიის საერთო კრება



# გადარჩება ქართული მეცნიერება?

**რამდენად ქმედითი და რეალური იქნება საქართველოს მთავრობის თანადგომა ქართული ინტელექტის მიმართ**

**3 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა საერთო კრება, რომელიც მისმა პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ გახსნა.**

აკადემიის საერთო კრება საკმაოდ იშვიათად ტარდება, ანუ მაშინ, როდესაც საკითხი ეხება აკადემიის ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს. ამჟამინდელი საერთო კრება, ძირითადად, გასული წლის საანგარიშო მოხსენების მოსმენას მიეძღვნა. მეცნიერებათა აკადემიის 2013 წლის მუშაობის ანგარიშის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ავთანდილ არაბული.**

როგორც მან აღნიშნა, — **„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საагარიშო — 2013 წელს თანამიმდევრულად ახორციელებდა იმ მიზნებსა და ამოცანებს, რაც მის წინაშე სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო დონეზე არის განსაზღვრული. ეს არის ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა მსოფლიოს მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად, ქართული მეცნიერების მიღწევათა წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე, ეროვნული მეცნიერების განვითარების პროგნოზირება, დაგეგმვა და პროგრამული უზრუნველყოფა შიდა და გლობალური პროცესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. განსაკუთრებულია მისი როლი, როგორც ხელისუფლების ძირითადი სამეცნიერო მრჩევლისა და დღეისათვის სხვადასხვა დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შედეგების ექსპერტისა და შემფასებლისა, რამდენადაც ეს შეფასება არის არა მხოლოდ გასული ერთი წლის საქმიანობის შეჯამება, არამედ ახალი ტენდენციების ანალიზი და შემდგომი — მოსალოდნელი თუ აუცილებელი — პროცესების პროგნოზირება“.**

უნდა ითქვას, რომ გასული წელი მეცნიერებათა აკადემიისთვის მხოლოდ საქმიანობის თვალსაზრისით არ ყოფილა განსაკუთრებული და ნაყოფიერი, მთავარია, რომ, გასული წლის არჩევნების შედეგად, აკადემიას ამჟამად ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის, აკადემიკოს **გიორგი კვესიტაძის,** ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიკოსების — **თემურ ნანეიშვილისა** და **როინ მეტრეველის** სახით; ასევე არჩევნების შედეგად მეცნიერებათა აკადემიას აკადემიური საბჭოს (21 წევრი) ახალი შემადგენლობა ჰყავს. აკადემიაში ფუნქციონირებს 9 სამეცნიერო განყოფილება, ესენია — მათემატიკისა და ფიზიკის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების, ბიოლოგიის მეცნიერებათა, ფიზიოლოგიისა და მედიცინის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებები. გარდა ამისა, შეიქმნა ახალი კომისიებიც — სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელი კომისია; მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის პრობლემების კოორდინაციის კომისია; ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათაშორისი კომისია; საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის შემსწავლელი კომისია; სამეცნიერო ეთიკის კომისია და სხვ. რაც მთავარია, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდასაჭერად შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომლის ამოცანებია ქვეყნის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა.

მეცნიერებათა აკადემიის გასული წლის საქმიანობის დეტალურ ანგარიშს თუ გავეცნობით, თვალნათლივ დავინახავთ, რომ აკადემიის წევრთა სამეცნიერო შედეგები საკმაოდ მაღალია, შეიქმნა ახალი მონოგრაფიები და განხორციელდა სამეცნიერო პროექტები; ასევე მაღალია ცალკეული პუბლიკაციებისა და საკონფერენციო აქტიურობის სტატისტიკაც.

ავთანდილ არაბულის მოხსენების შემდგომ, საერთო კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები: **გიორგი ჩაგელიშვილი, ლადო პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, მალხაზ ზაალიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, გუჩა კვარაცხელია და სხვ.**

აღსანიშნავია რამდენიმე საკითხი, რომლებსაც საერთო კრების მონაწილეები შეეხნენ. გულისტკივილი გამოითქვა სამეცნიერო ინსტიტუტების ბედის გამო, რომელთაც იურიდიული სტატუსი აღარ აქვთ (ზოგიერთს კუთვნილი შენობაც ჩამოართვეს) და მათი დაფინანსების საკითხიც სავალალოა. იმისათვის, რომ მეცნიერმა იმუშაოს და საკუთარი თავის რეალიზება და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობა შეძლოს, იგი მატერიალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამიტომაც გახლავთ არსებითი მათი დაფინანსება არა საგრანტო, არამედ საბაზო დაფინანსების მეშვეობით. ყველასთვის ცნობილია, რომ ადრე სამეცნიერო ინსტიტუტები მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შედიოდა; ამჟამად ზოგიერთი მათგანი საერთოდ გაუქმებულია, ზოგს შენობა ჩამოერთვა; ზოგიც უმაღლესი სასწავლებლების შენობებშია შეხიზნული. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისტორიის ინსტიტუტის მდგომარეობა, რომლის შენობაც სულ ცოტა ხნის წინათ გაიყიდა...

სწორედ ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, 2014 წლის 17 იანვრის საერთო კრების შემდგომ, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც ესწრებოდნენ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სამეცნიერო სისტემის კრიზისიდან გამოსვლის მიზნით, შეიქმნა სამეცნიერო საბჭო — საკონსულტაციო ორგანო, რომელიც ძირითადად აკადემიის წევრებისაგან დაკომპლექტდა. როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **თემურ ნანეიშვილმა** აღნიშნა, — **„ხუთი თვის მუშაობის შედეგად სამეცნიერო საბჭომ მოახდინა სამეცნიერო დაწესებულებების ინვენტარიზაცია, დეტალურად შესწავლილია ყველა სამეცნიერო ინსტიტუტის მონაცემები და შედეგები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეცა“.**

საერთო კრებაზე გამოითქვა სურვილი, რომ წარსულში აკადემიის მიერ შექმნილი და მისსავე დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მეცნიერებათა აკადემიას დაუბრუნდეს. საუბარი შეეხო კიდევ ერთ არსებით საკითხს, რასაც მკვლევარის სამეცნიერო კვალიფიკაცია ეწოდება. კერძოდ, უთანაბრდება თუ არა ამჟამინდელი აკადემიური დოქტორი თავისი სტატუსით მეცნიერებათა დოქტორს? მეცნიერთა მიერ გამოთქმული აზრით, აკადემიური დოქტორი წარმოდგენს სწავლების მესამე საფეხურს, მაშინ, როდესაც სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მეცნიერის ცხოვრებაში პრინციპული მომენტი უნდა იყოს. მეცნიერებათა დოქტორი რანგით გაცილებით მაღლა დგას აკადემიურ დოქტორზე და, ამიტომ, საქართველოში უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ ინსტიტუტის აღდგენა.

საერთო კრების დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, აკად. **ივანე კიღურაძე.** მან აღნიშნა, რომ **ახალი კანონპროექტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ გულდასმით იქნება განხილული პარლამენტის კომიტეტში.**

აკადემიის საერთო კრებამ მიიღო სპეციალური მიმართვა მთავრობისადმი საქართველოს სამეცნიერო სისტემის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ქართული მეცნიერების სამომავლო განვითარება უმაღლესი ხელისუფლების მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე წარმოუდგენელია.

**ნათია ვადაჭკორია**

## კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● რახან ესენი იმასაც ვერ ხვდებიან, რომ რაიმე ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნონ უკრაინელებს, იქნებ ჩვენ, ნორმალურ ხალხს გვეცადა ამ ინიციატივის აგორება, თორემ ამას ნაცები დაგვასწრებენ და გააბანძებენ იდეას! აქ მაინც დამეხმარეთ, ჟურნალისტებო...**

**● „ერთად შევიგრძნოთ ნათელი მომავალი“ — საქართველოს ბანკი.**

**ღმერთოოოოოოოოოოოო. . . . . ან მე დამსეტყვე, ან ამ გობსეკთა კორპორაციას თხლიშე მეტეორი!**

**● რუსთავის მერობის „კანდიდატების“ ამბავმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველოში „სასტავს“ კენჭისყრა ჯიხურების ჩადგმა ჰგონია — საერთოდ ვერ მოდიან აზრზე, რას ნიშნავს ამომრჩეველი, ხალხი, თანამდებობა, ქვეყანა, ქალაქი და ა.შ. კანონია მისაღები, რომ რაღაც ფილტრში გადიოდნენ ტიპები მანამდე, ვიდრე ოფიციალურად დარეგისტრირდებიან კანდიდატებად...**

**● დღეს მეც ტოტალიზატორი ვარ!**

**● ...ისე, რა ფული იშოვეს, ა?**

**● სადაც არა სჯობს ,შენ აჯობე! გაეცალო არა, კვახი!**

**● დედას ვუთხარი, შევარდნაძე გარდაიცვალა-მეთქი.**

**აშკარად შეეცოდა. მოხუცებმა რომ იციან ისე,უთქმელად. სადღაც გაექცა გონება. მერე დასძინა: დრო არ იყო შვილო, რამდენი ხანია ნანული აღარა ჰყავსო.**

**● კახი კახიშვილი, რომლის მიმართაც სიმპათიით ვარ განწყობილი, დღითი დღე ნაწყენ კაცს ემსგავსება, რაც, როგორც პოეტი იტყოდა: „არ უხდება და არც სჭირდება“.**

**● ბიძინას თოქ შოუს რა ერქმევა.. „ჯირყვნაი საკვირველი“?**

**● ამ არჩევნების მერე საბოლოოდ დაიწმინდება პოლიტიკური სივრცე და ის 30-50% ელქტორატისა, რომელიც ყველას წინააღმდეგია, შობს თავის სასურველ პოლიტიკურ ერთობას... ზოგადად, ცარიელი ნიშა დიდხანს არასოდეს არ რჩება აუთვისებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკა, კანონები და პრაქტიკა ამას გვასწავლის და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება? თუ გაგვიწყრება?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

## ალიანჩალიანი

# 74 ახალი საწარმოს პრეზენტაცია გაიმართა




**ღონისძიება სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში გამართეს. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ახალი საწარმოების ფოტოგამოფენა.**

**სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში დაფინანსდა 74 ახალი საწარმო, ასევე გაძლიერდა 500 საწარმოზე მეტი. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა გიორგი ჩხეიძემ აღნიშნა, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და აუცილებელი იყო სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტება. მისივე თქმით, ამ მიზნით შეიქმნა პროექტი, რომლითაც 15 000-ზე მეტმა მსურველმა ისარგებლა. მისივე ინფორმაციით, გაცემულია 400 მილიონი ლარის კრედიტი. დაფინანსებულ საწარმოებს შორის კი არის მეცხოველეობის ფერმები, სათბურები, ხილის დამხარისხებელი და გადამმუშავებელი საწარმოები, შესანახი ინფრასტრუქტურა და ა.შ.**

**შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მენეჯერის ირაკლი მოისწრაფიშვილის თქმით, სულ დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის 33 სხვადასხვა მიმართულება.**

ინტერპრესი

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)**

**პროექტის №:** P144048

**დავალების სახელწოდება:** შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა

**კონტრაქტი/RFP №:** SLRP III/CS/QCBS-02

**საიდენტიფიკაციო №:** SLRP III PP, პუნქტი №24

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტისათვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა".** დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებია:

- მსგავსი გამოცდილება ბოლო 7 წლის განმავლობაში (მაგ. 2007 წლის იანვრიდან).
- ზოგადი გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა,"კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთაინდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპებში" მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2014 წლის 21 ივლისის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)

Project No. P144048

**Assignment Title: Supervision of construction works for rehabilitation of road sections under the Secondary and Local Roads Project III**

**Contract/RFP No:** SLRPIII/CS/QCBS-02

**Reference No.** SLRPIII PP, Item No.24

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Roads Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Supervision of construction works for rehabilitation of road sections under the Secondary and Local Roads Project III".**

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

Similar experience within the last 7 years (i.e. since January 2007).
General experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Information on project related experience and assignments conducted should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Quality and Cost-based Selection method set out in the Consultant's Guidelines.

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 to 17:00.

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **July 21, 2014, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

**ალიანჩალიანი**

## ოჯახს, რომელსაც 8 წელი შვილი არ ჰყავდა, ოთხი ტყუპი გაუჩნდა

**ბათუმში** ოთხი ტყუპი დაიბადა. როგორც სამედიცინო ცენტრ „მედინას" დირექტორმა ჯუმბერ უნგიაძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, ბავშვები საკეისრო კვეთის გზით დაიბადნენ და როგორც ბავშვების, ასევე, დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. მისივე განმარტებით, ოთხი ახალშობილიდან სამი გოგოა და ერთი ბიჭი.

— ოთხი ტყუპი ორშაბათს დაიბადა საკეისრო კვეთის გზით. ვინაიდან დედის მდგომარეობა საკმაოდ რთული იყო და მის სიცოცხლეს ემუქრებოდა საშიშროება, ამიტომ, გაკეთდა საკეისრო კვეთა. დღესდღეობით დედა ინტენსიური თერაპიის პალატაში იმყოფება, ჩვილები კი ახალშობილთა რეანიმაციაში. ჯერჯერობით მძიმეა სიტუაცია, მაგრამ სტაბილური. ჩვილები იწონიან 600-დან 900 გრამამდე, მათგან სამი გოგოა და ერთი ბიჭი, — აღნიშნა ჯუმბერ უნგიაძემ.

## გამოჯანმრთელებული შველი ბუნებას დაუბრუნდა

**როგორც** „ინტერპრესნიუსს" გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს , ვანის რაიონის, სოფელ ძულუხში, ტყიდან გამოქცეული შველი ადგილობრივი მაცხოვრებლის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩნდა.

მომხდარის შესახებ მოქალაქემ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აცნობა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა შველს, რომელსაც მრავალი ნაიარევი ჰქონდა, ყველა საჭირო დახმარება აღმოუჩინეს და დროებით, სრულ გამოჯანმრთელებამდე თბილისის ზოოლოგიურ პარკს მიაბარეს. სპეციალისტების დასკვნით, აღნიშნული ცხოველი ჯანმრთელია და მისი ველურ გარემოში დაბრუნება პრობლემას არ წარმოადგენს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ზოოპარკის თანამშრომლებმა შველი ბუნებრივ გარემოში, თბილისის ეროვნულ პარკში გაუშვეს.

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**
**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)**
**პროექტის №:** P144048

**დავალების სახელწოდება:** დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 10 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში (SLRP III)

**კონტრაქტი/RFP №:** SLRP III/CS/QCBS-01
**საიდენტიფიკაციო №:** SLRP III PP, პუნქტი №27

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტისათვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **„დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 10 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის (დაახლოებით 100კმ) შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში".**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. შერჩევის საკვალიფიკაციო კრიტერიუმებია:

- მსგავსი გამოცდილება ბოლო 7 წლის განმავლობაში (მაგ. 2007 წლის იანვრიდან).
- ზოგადი გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა,"კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპებში" მოცემული კვალიფიკაციისა და ღირებულების მიხედვით შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 09:00-დან 17:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არაუგვიანეს **2014 წლის 21 ივლისის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995-322-37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995-322-31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Project No. P144048

**Assignment Title: Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Rehabilitation of 10 road sections under the Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

**Contract/RFP No:** SLRPIII/CS/QCBS-01
**Reference No.** SLRPIII PP, Item No.27

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Roads Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Rehabilitation of 10 Road Sections (appr. 100 km) under the Third Secondary and Local Roads Project".**

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

Similar experience within the last 7 years (i.e. since January 2007).
General experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may associate with other firms in the form of a joint venture or a sub-consultancy to enhance their qualifications. Please note that a form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Information on project related experience and assignments conducted should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on w on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Quality and Cost-based Selection method set out in the Consultant's Guidelines.

Further information can be obtained at the address below during office hours from 09:00 to 17:00.

Expressions of interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail) by **July 21, 2014, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08 ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ალიანჩალიანი

## უცხოეთში მყოფი 38 სტუდენტი ერთთვიან სტაჟირებას საქართველოში გაივლის

**დიასპორის საკითხში სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე გუშინ პროექტში მონაწილე ქართველ სტუდენტებს შეხვდა.**

**როგორც შეხვედრაზე კონსტანტინე სურგულაძემ განაცხადა, ძალიან დიდია ცდუნება იმის, რომ ეს სტუდენტები უცხოეთში დასაქმდნენ. თუმცა, მათ უნდა შეძლონ, დაბრუნდნენ საქართველოში და თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობა ქვეყანას მოახმარონ.**

**როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ განაცხადა, გასულ წელს ამ პროექტში ათამდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობდა, წელს კი პროექტში მონაწილე სტუდენტების განაცხადების რაოდენობა 150-მდე იყო, მათგან კი მხოლოდ 38 შეირჩა. მინისტრი ვარაუდობს, რომ მომავალი წლისთვის პროექტში მონაწილე სტუდენტების რიცხვი კიდევ გაიზრდება.**




**დიასპორის საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტებით, უცხოეთში მყოფი ქართველი სტუდენტების საქართველოში სტაჟირების პროექტის ინიციატივა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის. ქვეყნიდან გადინებული ინტელექტუალური რესურსის მოზიდვის მიზნით, აპარატი „ქართველ სტუდენტთა მსოფლიო გაერთიანებასთან" ერთად ახორციელებს აღნიშნულ პროექტს. საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებს ერთი წლის განმავლობაში საშუალება მიეცემათ გაეცნონ საქართველოს საჯარო სამსახურში მიმდინარე საქმიანობას, მუშაობის სპეციფიკას, იმ მოთხოვნებს, რაც საქართველოში ამჟამად არსებობს.**

ინტერპრესი

** აი, გატაცებააა!**

# ამ ნოსტელ ბიჭს წიგნი უყვარს...

**ნოსტელ გმირ მამა-შვილს — გიორგისა და პაატას, ოთხი საუკუნის შემდეგ, ანუ ჩვენს დღეებში, ნოსტეში დაბადებული 19 წლის ყმაწვილკაცი შეემატა, უკვე სხვა მუხტისა და მისწრაფების, განათლებაზე, წიგნიერებაზე მეოცნებე და ამ ოცნებაში ისეთი გასაკვირი საქციელის ჩამდენი, რომ ტელეკომპანია „იმედის“ პოპულარული გადაცემის გმირი გახდა.**

მაშ, **გენადი გაბოძე** — ახალი გმირი ნოსტედან, რომელმაც გააოცა ყველა, ვინც კი ამ გაზაფხულზე, 13 აპრილს „იმედის გმირებს“ უყურა ტელევიზიით.

მაინც რას აკეთებს ასეთს ეს თვალებლიმილიანი, ყვინჩილა ბიჭი? „იმედის გმირების“ მაყურებელმა იმ საღამოს შეიტყო და ახლა თითქმის მთელმა საქართველომ იცის, რომ ამ ნოსტელ, ამჟამად კი კასპში მცხოვრებ ყმაწვილს, წიგნი რომ ბავშვობიდანვე შეაყვარა დედამ, შესანიშნავმა მწერალმა და მთარგმნელმა თამარ გაბოძემ, ერთ დღეს გაუჩნდა სურვილი, რომ შეექმნა ავტოგრაფიანი წიგნების ბიბლიოთეკა. უკვე საინტერესოა, არა? მაგრამ ვითომ, რა უპირატესობა აქვს ასეთ ბიბლიოთეკას? — იფიქრებს ეჭვიანი მკითხველი.

თვითონ გენადი უპასუხებს: — მე მგონია, რომ საინტერესოა, როგორი კალიგრაფიით აწერს, რა სიტყვებს დებს ამა თუ იმ პიროვნებისადმი მიძღვნილ ავტოგრაფში მწერალი, ამით ერთგვარად, მისი შტრიხიც კი იხატება... თანაც, როგორც ვიცით, მსგავსი ბიბლიოთეკა არსად არ არსებობს...

გენადიმ იდეა თანდათან საქმედ აქცია. პირველი გივი შახნაზარი იყო, თავისი შესანიშნავად თარგმნილი საიათნოვას ლექსების წიგნი რომ აჩუქა ავტოგრაფით გენადის. მერე სხვებმაც აჩუქეს, უკვე გარდაცვლილი, ჩვენი სახელოვანი მწერლების ოჯახებიდანაც წამოიღო ავტოგრაფიანი წიგნები. მაგალითად, პაოლო იაშვილის შთამომავლებმა სიამოვნებით გაატანეს. საქმეში ჩართო უცხოეთში მყოფი ნაცნობ-მეგობრები და წამოვიდა წიგნები უცხოელი მწერლების ავტოგრაფებით... ერთ ცნობილ ქართველ მწერალს (გვარს არ ასახელებს გენადი), ისე მოეწონა ეს ჩემი საქმიანობა, რომ მითხრა, შენ უნდა გისახსოვრო ჩემი ავტოგრაფიანი წიგნების ბიბლიოთეკაო, — ამბობს კასპელი ყმაწვილი. რახან კასპი ვახსენეთ, არ დაგვავიწყდეს: გენადის იქ დაუმთავრებია მე-2 საშუალო სკოლა, შემდეგ კი პროფესიული კოლეჯი „აიტიტექნოლოგიების“ განხრით. მაგრამ პროფესიას რაღას დაეძებს, მისმა უცნაურმა სურვილმა ყველას და ყველაფერს „გადაუჯოკრა“. და, იცით, რამდენი ავტოგრაფიანი წიგნი აქვს ამწუთას ნოსტელ გმირს? 3000! ერთი დიდი ოთახი საცავივით გახდა. ამბობს, მთელ საქართველოში, ოჯახებში თუ აქეთ-იქით მიმოფანტული ავტოგრაფიანი წიგნები ჩემს ბიბლიოთეკაში უნდა განთავსდეს, რომლის აშენებასაც კასპში ვაპირებ, კეთილი, წინგამხედავი ბიზნესმენების დახმარებით და, მაქვს სრულიად ახალი იდეა: **ეს ბიბლიოთეკა უნდა იყოს საქართველოში პირველი ბიბლიოთეკა, დამტევი ორი ბიბლიოთეკის — ავტოგრაფიანი და უიშვიათესი წიგნების!**

მოდი და ელაპარაკე ამას! ინტერნეტის საუკუნეში, მთელი საქართველო რომ „ფეისბუქზე“ ერთობა, ერთი ქართველი, ნოსტელი მერცხალა ბიჭი, სად არ მიდი-მოდის, ვის არ აწუხებს, რომ წიგნმა, წიგნმა, წიგნმა არ დატოვოს საქართველო, რადგან ისიც იცის, თუ რაიმე სიმდიდრე აქვს ქართველს, წიგნში, წიგნის სიყვარულში დევს.

თქვენ კი ამბობთ, ეს რა ახალგაზრდობა მოდისო!

არაფერი შეგეშალოთ!

**ვილენ მარდალეიშვილი.**



**სურათზე: ბედნიერია ახალი ნოსტელი გენადი გაბოძე — დიდ ნოსტელ გიორგი სააკაძის ძეგლის ავტორთან, დიდ მერაბ ბერძენიშვილთან ერთად გადაიღო სურათი.**

**ალიანჩალიანი**

## მას უთბილისოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა

**საქართველოს კულტურის მოღვაწეები საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მირიანე ოდიშარიას წერილით მიმართავენ. კულტურის მოღვაწეები გაიანე ხაჩატურიანის მუზეუმის გახსნას, ასევე სამთავრობო კომისიის შექმნას ითხოვენ, რომელიც გაიანე ხაჩატურიანის მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლის და მხატვრის მუზეუმის შესაქმნელად ნიადაგს მოამზადებს. წერილს კულტურის 19 მოღვაწე აწერს ხელს.**



**„ვსარგებლობთ შემთხვევით და გამოვხატავთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას და ამასთან მოგახსენებთ, რომ გაიანე ხაჩატურიანი 1942 წელს, თბილისში დაიბადა, მხატვრად თბილისში ჩამოყალიბდა და მშობლიური ქალაქით აღფრთოვანება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შენელებია.**

**გაიანე არა მარტო მხატვარი, მშვენიერი ნოველების ავტორიც გახლდათ, სადაც გამოიკვეთა თბილისისა და თბილისელებისადმი, ზოგადად, გარესამყაროსადმი მისი დამოკიდებულება. გაიანეს შემოქმედებითი ზრდა იმხანად თბილისში არსებულ, უაღრესად ცოცხალ და საინტერესო, მაღალი სულიერებით აღბეჭდილ კულტურულ გარემოსთან ასოცირდება. გაიანე ტიპური თბილისელი გახლდათ თავისი ტოლერანტობითა და სხვა ერებისადმი დამოკიდებულებით. მის ბინა-სახელოსნოში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები როგორც ჩვენი ქვეყნიდან, ისე საზღვარგარეთის ცნობილი კულტურული ცენტრებიდან.**

**გაიანემ ხუთასზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, ასევე, უამრავი მცირე ფორმის ლიტერატურული ნაწარმოები შექმნა. მძიმედ დაავადებული მხატვარი 2009 წლის 1 მაისს, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

**გაიანემ მთელი ცხოვრება თბილისში გაატარა. მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, სხვა ქალაქში გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც საუკეთესო სამუშაო პირობები ექნებოდა, კატეგორიული უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ თბილისის გარდა, ვერსად წარმოედგინა ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის ზრდასა და სრულყოფას სწორედ ეს ქალაქი განაპირობებდა..**

**ხუთი წელია, არა მარტო თბილისელები, მხატვრის შემოქმედების დამფასებლები და თაყვანისმცემლები საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან ელიან თბილისში გაიანე ხაჩატურიანის მუზეუმის გახსნას, სადაც შეიკრიბებიან, გაიხსენებენ მხატვარს, კიდევ ერთხელ შეავლებენ თვალს მის ნამუშევრებს, თავიანთ დამოკიდებულებას, საკუთარ შთაბეჭდილებებსა და კვლევის შედეგებს გაუზიარებენ ერთმანეთს, ახალგაზრდები გაეცნობიან ბრწყინვალე მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ექსპონატებს.**

**გაიანე ხაჩატურიანმა თავისი უაღრესად საინტერესო შემოქმედებით, პიროვნული ღირსებით, თბილისისა და თბილისელებისადმი უანგარო სიყვარულით დაიმსახურა ჩვენს დედაქალაქში მუზეუმის დაარსება. აუცილებელია, თბილისის თეატრისა და კინოს მუზეუმში ამჟამად შენახული მისი ფერწერული ტილოები, რომლებიც, კანონის სრული დაცვით, სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადდა, არ გავიდეს მუზეუმიდან, რადგან მათ არ დაემუქროს გაფანტვა და გასხვისება. მოვითხოვთ, შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის გაიანე ხაჩატურიანის მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ნიადაგს მოამზადებს მხატვრის მუზეუმის შესაქმნელად“, — ნათქვამია ხელოვანთა მიმართვის წერილში.**

**ინტერპრესი**

**ო, ენავ ჩემო**

## რამდენიმე მოსაზრება ზოგი სამინისტროს სახელწოდების შესახებ

**ერთხელ მეზობელმა შემომჩივლა, პირადი პრობლემის გამო მოვინდომე წერილით მიმემართა სახელმწიფო მინისტრის მოადგილისთვის, მაგრამ აქაც კიდევ ერთ პრობლემას წავაწყდი — ვერა და ვერ გავმართე მისი თანამდებობის სახელწოდებაო. ვეცდები, დაგეხმარო, მეც კარგა ხანია, მაწუხებს ეს საკითხი-მეთქი.**

პირველი, რაც ვქენი, ის იყო, რომ ერთხელ კიდევ გულდასმით გავეცანი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 22 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ჩვენი ახალი მთავრობის შემადგენლობას და დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი უწყების სახელწოდება სხვადასხვა ბრუნვასა და კონტექსტში ჩასასმელად მოუხერხებელია.

მეორე ის იყო, რომ ჩემი დაუვიწყარი მასწავლებლის, ოპერატიული თარგმნის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მთარგმნელთა არაერთი თაობის აღმზრდელის, ქართული ენის დაუცხრომელი ქომაგის შამშე ასათიანის ნაჩუქარი რვეულიდან ამოვიწერე მისივე ხელით ჩაწერილი ორი რეკომენდაცია, რომლებიც ჩვენმა დიდმა ენათმეცნიერმა აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1952 წელს შემოგვთავაზა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილებში და რომლებსაც შეძლებისდაგვარად უნდა იცავდეს ყველა, ვისაც კალამი უჭირავს ხელში. აი, ისინიც: „დავუბრუნოთ ზმნის პირიან ფორმას თავისი ადგილი წინადადებაში“ (ესე იგი: ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვები არ უნდა გაითიშოს ფრაზაში) და „ვერიდოთ გარემოების წინ წამოწევას წინადადებაში“.

გამოჩენილი სწავლულის სწორედ ამ შეგონებამ გადამაწყვეტინა, პატივცემულო მკითხველო, თქვენი (და არა მარტო თქვენი ყურადღება მიმეპყრო ზოგიერთი სამინისტროს დასახელებისთვის. მეტწილად ეს ეხება სახელმწიფო მინისტრებისა და მათი აპარატების სახელწოდებებს. სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდეთ, შეგახსენებთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის 1985 წელს გამოცემულ №№1-2 ბიულეტენებში დადგენილი ერთ-ერთი წესის პირველი წინადადების დასაწყისს: **„1. რამდენიმე არაერთგვაროვანი მსაზღვრელის შემცველ დაწესებულება-ორგანიზაციათა სახელწოდებებში პირველ ადგილზე იქნება მართული (ნათესაობითში დასმული) გეოგრაფიული სახელი...“ (გვ. 40).**

შემდგომი მსჯელობისთვის ავიღოთ, მაგალითად, ასეთი სახელწოდება: **„საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში“** და ჩავსვათ იგი, რომელიც გნებავთ, კონტექსტში. მივიღებთ იმას, რომ:

**პირველი.** თუ, მაგალითად პრემიერ-მინისტრმა დაუნიშნა მას მოადგილე, გვექნება... **მინისტრის მოადგილე დიასპორის საკითხებში.** გამოდის, რომ მოადგილე განაგებს აღნიშნულ საკითხებს. შეცდომაა!

**მეორე.** ამ შეცდომის გამოსასწორებლად მოგვიწევს დასახელების მეორე ნახევრის წინ წამოწევა: **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.** მაგრამ აქ უფრო დიდი შეცდომა მოგვივა: ვერ შევასრულებთ ვერც აკაკი შანიძის რეკომენდაციებს და ვერც ზემოთ ნახსენებ წესს — გავხლეჩთ ნომინაციის ბირთვს (მყარ შესიტყვებას) და შუაში ჩავსვამთ გეოგრაფიულ სახელს. ასე გადაგვექცევა საკითხის გადაწყვეტის ცდა მცდელობად.

მაგრამ აქ მაშველ რგოლად მოგვევლინა ერთი გარემოება: ა. წ. იანვრის დამლევს სასჯელაღსრულების სამინისტროს იურიდიული დახმარების მიმართულებასთან ერთად გამოაკლდა დასახელების ერთი ელემენტი — „საკითხთა“. აი, სწორედ ეს ფორმა — „საკითხთა“ — გვაძლევს იმის საშუალებას, რომ, მაგალითად, დიასპორის მიმართულების სახელმწიფო მინისტრს ვუწოდოთ **„საქართველოს დიასპორის საკითხთა სახელმწიფო მინისტრი“.** ასეთი ხერხით გამართული სახელწოდების წყალობით შეგვიძლია, რომელ კონტექსტსა თუ ბრუნვაშიც გნებავთ, უმტკივნეულოდ ჩავსვათ ამ და დანარჩენი ორი სახელმწიფო მინისტრისა და მათი უწყებების სახელწოდებანი.

ოღონდ აქ ერთი რამ არის სათქმელი. საქმე ეხება სახელწოდებას: **„საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში“.** თუ ვიხელმძღვანელებთ (თუ კი არა, უთუოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ!) მუდმივი კომისიის მიერ დადგენილი ზემოთ მოყვანილი წესით, მაშინ უნ და გავასწოროთ გეოგრაფიული სახელების ეს დაწერილობა (ასეთი უმართებულო ფორმები — **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევრაზიული კავშირი** და უამრავი სხვა — მოეძალა ჩვენს მეტყველებას და ამიტომ მსგავს შემთხვევებს უფრო წვრილად მერე განვიხილავთ), რის შედეგად მივიღებთ უნაკლო სახელწოდებას: „საქართველოს ევროპისა და ევროატლანტიკის სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრი“.

იგივე ითქმის, სხვათა შორის, ექსპერტებზეც. თავად განსაჯე, რომელია უკეთესი: **ექსპერტი კავკასიის საკითხებში თუ კავკასიის საკითხთა ექსპერტი?** ექსპერტი ხომ რაიმე საქმის (დარგის, მიმართულების, საკითხის) სპეციალისტია!

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პრობლემა უსათუოდ გადაიჭრება და ამის წყალობით შვებას იგრძნობენ თავად მინისტრები, პარლამენტარები, საერთოდ მკითხველი საზოგადოება და ჩემი შეწუხებული მეზობელიც.

**ოთარ კაპანაძე**

**ჭიდაობა**

# ჩვენც, ირანელებმაც







**აჭარის დედაქალაქში მესამედ გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორ მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებს შორის.** საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად თავი მოიყარეს ყაზახეთის, ირანის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ისრაელისა და რუსეთის (კრასნოდარის მხარის მოჭიდავეები) წარმომადგენლებმა. პაექრობები მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. მათ, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ჯილდოებზე, 8-დან 6 ოქროს მედალი დაიმსახურეს, ორ წონაში კი ჩემპიონები ირანელები გახდნენ. **წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:** ალექსანდრე კილაძე (50 კგ), ბექა ბალანჩივაძე (55), მურად მიქელაძე (60), რამაზ ზოიძე (66), საჯად ფარაჯპორი (74, ირანი), შოთა ღლონტი (84), იბრაჰიმ მოჰამადი (96, ირანი), ზურაბ გედეხაური (120).

**ლაშა დიდია**

**დღეს მუნდიალზე**

# ხავიერ მასკერანო: მთავარია, ყველა ხელსაყრელი მომენტი საჩვენოდ გამოვიყენოთ

**არგენტინის ეროვნული ნაკრები 24 წლის შესვენების შემდეგ მუნდიალის ნახევარფინალში გავიდა, თუმცა, ბიკამპეონები ამაზე დაჯერებას სულაც არ აპირებენ და როგორც მათი მთავარი მწვრთნელი ალეხანდრო საბელია, ასევე ფეხბურთელები აცხადებენ, რომ სამხრეთამერიკელთა მიზანი და მისწრაფება ფინალში გასვლა და გადამწყვეტ მატჩში წარმატებით გამოსვლაა. ჰოლანდიასთან დღევანდელი ნახევარფინალის წინ ჟურნალისტებს არგენტინელთა ერთ-ერთი წამყვანი და გამოცდილი მოთამაშე ხავიერ მასკერანო გაესაუბრა.**



**— რა განწყობით ხვდება არგენტინის ნაკრები ნახევარფინალურ პაექრობას?**

— ის ენთუზიაზმი უნდა შევინარჩუნოთ, რისი წყალობითაც პლანეტის საუკეთესო 4 ნაკრებს შორის მოვხვდით. არგენტინა ნახევარფინალში 24-წლიანი პაუზის შემდეგ გავიდა და ამ მოვლენის მომსწრე და ერთ-ერთი შემოქმედი ვარ. ეს ჩემთვის მეტად სასიხარულო ამბავია. ამასთან, კარგად უნდა გვახსოვდეს, რამხელა პასუხისმგებლობა გვაკისრია მთლიანად ქვეყნის წინაშე. გულშემატკივრებს ჩვენი სწამთ და უფლება არ გვაქვს, მათ იმედი გავუცრუოთ. არგენტინას ერთ მუშტად შეკრული, უნიკალური გუნდი ჰყავს და ფინალში გასასვლელად არაფერს დავიშურებთ.

**— სანახევარფინალე მეტოქე ჰოლანდიაზე რას იტყვით?**

— მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე უნარიანად და სწრაფად კონტრიერიშებს სწორედ ჰოლანდიელები ახორციელებენ. ევროპელებს მეტად ფეხმარდი და მობილური მოთამაშეები ჰყავთ. ლუის ვან გაალი ძალიან გამოცდილი მწვრთნელი და ცბიერი ტაქტიკოსია. ამასთან, ჰოლანდიელებმა სამხრეთ აფრიკის მუნდიალის გადამწყვეტი მატჩი წააგეს, რაც მათ მოტივაციას მატებთ. ურთულესი დაპირისპირების მოლოდინში ვართ. გაცილებით გაგვიჭირდება, ვიდრე ბელგიელთა წინააღმდეგ პაექრობისას.

**— არგენტინა რა ტაქტიკით აპირებს თამაშს?**

— ლეო მესი და გონსალო იგუაინი ჰოლანდიელ მცველებს მოსვენებას ერთი წამითაც არ მისცემენ, ბურთის მიღების შემთხვევაში კი ნახევარმცველებს სულის მოთქმის საშუალება გვექნება. ვფიქრობ, ჰოლანდიელებთან ნახევარფინალში ბურთის ფლობის ასპექტში უპირატესობა გვექნება და მთავარია, ყველა ხელსაყრელი მომენტი საჩვენოდ გამოვიყენოთ.

**კობა კობახიძე**

**მეკლდეურობა**

# მეშველიანის ორი „ოქრო“



**8 ქალაქისა და რაიონის 56 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს მედლებს საქართველოს ღია ჩემპიონატში, რომელსაც ლენტეხმა უმასპინძლა.** შეჯიბრებაში აზერბაიჯანელებიც მონაწილეობდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ლენტეხელებმა გაიმარჯვეს, ხოლო მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, მესტიამ და თბილისმა გაინაწილეს. პირად პირველობაში განსაკუთრებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა სალომე მეშველიანმა იყოჩაღა — ორი ოქროს მედალი დაიმსახურა. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:

**სწრაფი ცოცვა.**

**გოგონები.** 1. სალომე მეშველიანი (ლენტეხი), 2. დარო რატიანი (მესტია), 3. სალომე გუგუჩიანი (მესტია). **ვაჟები.** 1. გიგა ჯანხოთელი (ლენტეხი), 2. გოგი ჩართოლანი (მესტია), 3. მამუკა ხუციშვილი (სტეფანწმინდა).

**რთული ცოცვა**

**გოგონები.** 1. სალომე მეშველიანი, 2. ნიცა თვაური (თბილისი), 3. ფატი იოსელიანი (მესტია). **ვაჟები.** 1. გიორგი გაბულდანი (თბილისი), 2. გოგი ჩართოლანი (მესტია), 3. მუშვიგ მამადლი (აზერბაიჯანი).

**გივი გაგუა**

**სურათზე:** სალომე მეშველიანი ასპარეზობისას.

**ლეგიონერი**

# ორწლიან-ორმილიონიანი



**ქართველი კალათბურთელი მანუჩარ მარკოიშვილი მომავალი სეზონიდან მოსკოვის ცსკა-ს ღირსებას დაიცავს. ამ ინფორმაციას Eurobasket.com-ი და რამდენიმე თურქული წყარო ავრცელებენ.**

შეგახსენებთ, რომ 28 წლის მარკოიშვილი ბოლოს სტამბოლის „გალათასარაიში“ ირიცხებოდა და თურქულ გრანდს ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის ფინალში გასვლაში დაეხმარა. ამას გარდა, „გალამ“ ევროლიგის პლეი-ოფშიც ითამაშა, რაშიც ქართველმა მცველმა ასევე დიდი წვლილი დაიდო.

თურქული წყაროების ცნობით, მანუჩარი ცსკა-ს ღირსებას 2 წლის განმავლობაში დაიცავს და მისი წლიური ხელფასი მილიონი ევრო იქნება.

აქვე ვთქვათ, რომ რუსული კალათბურთის გრანდი მომავალი სეზონისთვის სერიოზული შემადგენლობის შეკრებას აპირებს.

ცსკა-მ ახალი კონტრაქტი გაუფორმა გუნდის ერთ-ერთ ლიდერ სონი უიმსს, უახლოეს დღეებში კი ხელშეკრულება ფრანგ მცველ ნანდო დე კოლოსთან დაიდება. ეს უკანასკნელი გასულ სეზონში ჯერ „სან ანტონიოში“, შემდეგ კი „ტორონტო რეპტორზში“ თამაშობდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**კონტრაქტი**

# „ბარსელონა“ კუადრადოს შეუთანხმდა

**კოლუმბიის ეროვნული ნაკრებისა და „ფიორენტინას“ ნახევარმცველმა ხუან კუადრადომ შესაძლოა კარიერა „ბარსელონაში“ გააგრძელოს. ესპანური მედიის ინფორმაციით, კატალონიელები „იებს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს სთავაზობენ.**

მოგეხსენებათ, იტალიელებმა კუადრადო 35 მილიონ ევროდ შეაფასეს და ნახევარმცველის შენარჩუნებას იმედოვნებენ. ესპანური მედიის ცნობით, „ბარსელონამ“ კოლუმბიელთან პირად შეთანხმებას უკვე მიაღწია და ტრანსფერს მხოლოდ ფლორენციელთა ხელმძღვანელობის დაყოლიება აშორებს.

შეგახსენებთ, რომ კუადრადო მიმდინარე მუნდიალზე კოლუმბიელთა სასტარტო ფეხბურთელი იყო. მან ერთადერთი გოლი იაპონიის წინააღმდეგ გაიტანა და 4 საგოლე გადაცემაც შეასრულა.



**გიორგი შოთაძე**

**წყალბურთი**

# „ლიგამუსი“ ისევ უძლეველია

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ დამთავრდა წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე განსაკუთრებით საქართველოს სამგზის ჩემპიონმა „ლიგამუსმა“ და „თბილისმა“ იყოჩაღეს.** ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვის წარმომადგენლები ამ ორ გუნდში არიან თავმოყრილნი, ჩვენი ნაკრები კი, როგორც გულშემატკივრებმა იციან, 14 ივლისიდან ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატის ფინალში ჩაებმება. თბილისიდან გამგზავრებამდე ნაკრების წევრებმა ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩებში იასპარეზეს. ჩემპიონის გვირგვინისთვის პაექრობაში „ლიგამუსმა“ ამჯერადაც დაჯაბნა „თბილისი“ და ტიტული შეინარჩუნა.

**„ლიგამუსი“-„თბილისი“ 15:10 (3:1, 4:0, 4:1, 4:8)**

**„ლიგამუსი“:** ჭუმბურიძე, ჩიკვაიძე, გიორგაძე (1), იმნაიშვილი (2), გაბადაძე (1), ურუშაძე (3), ხვედელიანი (1), რურუა (4), გეგელაშვილი (3), ნიკოლეიშვილი, შუბლაძე, **მწვრთნელი** — ისელიძე.

**„თბილისი“:** ნამორაძე, ქენქაძე (3), კოტარია, ქავთარაძე (2), ბუღაძე, ქარჩილაძე, ცანკაშვილი, ბალათურია (2), ჩიქვინიძე, სულაძე (1), გელაშვილი (1), ყაზახიშვილი (1), **მწვრთნელი** — ლაითაძე.

**ლექსო ცინცაძე**



**გემოვნებაზე არ დავობენ**

# ევროპელებს ბრაზილიური სამზარეულო არ მოსწონთ

**ბრაზილიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასული ევროპელი ქომაგები აკლიმატიზაციაზე მეტად ადგილობრივი სამზარეულოს განსხვავებულობასა და მათთვის შეუფერებლობას უჩივიან. ევროპელები ამბობენ, რომ ბრაზილიაში ადგილობრივი მზარეულები კერძებს, უბრალოდ, აფუჭებენ.**

არადა, კულინარიის მოყვარულთა წრეებში ითვლება, რომ მექსიკასთან, ჩინეთთან, საფრანგეთთან და საქართველოსთან ერთად ბრაზილია ის ქვეყანაა, სადაც როგორც ხორციანი, ასევე მცენარეული კერძების გამორჩეულად გემრიელად კეთება ეხერხებათ და სოუსებიც საკმაოდ კარგი გამოსდით.

როგორც ჩანს, მუნდიალზე ჩასული ევროპელი ქომაგები ბრაზილიური კულინარიისათვის (და საერთოდ, სამხრეთამერიკული კულინარიისათვის) დამახასიათებელ სიცხარეს ვერ ეგუებიან, თორემ ბრაზილიელი მზარეულების ნახელავს რა უნდა დაუწუნონ, კაცმა არ იცის..

**როსტომ რაჭველიშვილი**

## დედამიწის ზურგზე



**იაპონიას თავს დაატყდა ტაიფუნი, რომელიც „იმუქრება“ გახდეს უძლიერესი უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში**

**4-დან 7 ივლისამდე ტროპიკულმა შტორმმა, რომელმაც მიიღო „ნოგურის“ სახელწოდება, მოიკრიბა ძალა, თუმცა ჯერ არ გადაქცეულა სუპერტაიფუნად. იგი მიემართება ოკინავასაკენ. უკანასკნელი მონაცემებით, პრეფექტურის მისადგომებთან იგი დასუსტდა, მაგრამ ამჟამად სამოქალაქო საჰაერო მიმოსვლა ოკინავასთან მთლიანად შეწყვეტილია, იქ დაკეტილია ყველა აეროდრომი, გაუქმებულია ზღვაში ყველა სამგზავრო ბორნისა და სხვა ხომალდების გასვლა.**

* * *

**ბულგარეთში პროუკრაინელი აქტივისტები რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს სტვენითა და გინებით შეხვდნენ**

**დაახლოებით 30 აქტივისტი უკრაინული დროშებითა და პლაკატებით გაიძახოდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მისამართით, იყენებდნენ უკრაინელი ფეხბურთის ფანატების სიმღერიდან ამონარიდებს. უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მიტინგი წარმოგვიჩინეს, როგორც ბულგარელების მიერ მოწყობილი, თუმცა, ბულგარულმა პრესამ აქცია თითქმის ვერ შენიშნა.**



* * *

**„ურღვევი კლდე“: ისრაელი აწარმოებს ოპერაციას ღაზის სექტორში ტერორისტების სამიზნეების გასანადგურებლად**

**ისრაელის თავდაცვის არმია კვლავ აყენებს დარტყმებს სამიზნეებს ღაზის სექტორში: ჰაერიდან, ხმელეთიდან და ზღვიდან. 8 ივლისის ღამით სექტორში შეუტიეს დაახლოებით 50 სამიზნეს: ტერორისტების ობიექტებს. პალესტინის წყაროები იტყობინებიან რამდენიმე დაღუპულისა და სულ ცოტა 17 დაჭრილის შესახებ. „ჰამასი“ პასუხობს სარაკეტო ზალპებით ისრაელის მიმართულებით და იმუქრებიან შეტევით თელ-ავივზე.**

* * *

**ობამა და ოლანდი კვლავ აშინებენ რუსეთს სანქციებით**

**ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტებმა სატელეფონო საუბარში „გადაწყვიტეს, რომ შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ უნდა მიიღონ შემდგომი კოორდინირებული ზომები, რათა რუსეთმა პასუხი აგოს იმ შემთხვევისთვის, თუ იგი დაუყოვნებლივ არ გადადგამს დაძაბულობის დეესკალაციის ნაბიჯებს“ უკრაინაში.**



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ჯონ კერი: ედუარდ შევარდნაძემ „ცივი ომის“ დამთავრების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა

## ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადება საქართველოს ექს-პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

**სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სპეციალურ განცხადებაში გამოთქვა „ულრმესი თანაგრძნობა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო“.**



როდესაც იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე 80-იან წლებში, შეგვახსენა ჯონ კერიმ, „შევარდნაძემ პრეზიდენტ გორბაჩოვთან, პრეზიდენტ რეიგანთან და სახელმწიფო მდივან შულცთან ერთად შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი „ცივი ომის“ დამთავრების საქმეში. მან ახალი იმპულსი მიანიჭა მოლაპარაკებებს შეიარაღების შემცირების შესახებ, შეამცირა ბირთვული კონფრონტაციის რისკი“. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, შევარდნაძე „უპირისპირდებოდა მკაცრი კურსის მომხრეებს და უარი განაცხადა გამოეყენებინა ძალა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც დაიწყეს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, და გამოდიოდა რეფორმების დაწყებისათვის ყოფილ საბჭოთა კავშირში“.

კერიმ დიდად შეაფასა ედუარდ შევარდნაძის საქმიანობა პოსტსაბჭოთა საქართველოს ლიდერის პოსტზე. „როდესაც გახდა საქართველოს მეორე პრეზიდენტი ქვეყნის დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ, — შეგვახსენა სახელმწიფო მდივანმა, — შევარდნაძე 90-იან წლებში დაეხმარა ჯერ კიდევ არამყარ ქვეყანას უზრუნველეყო სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და ხელი შეუწყო საქართველოს დამდგარიყო ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, რომლიდანაც მას დღემდე არ გადაუხვევია“.

**„დღეს,** — ხაზგასმით აღნიშნა კერიმ, — **როდესაც მთელი საქართველო ჩაუფიქრდება მისი ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრებას, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქართველს იზრუნოს, რათა საქართველო დარჩეს ერთიანი და დემოკრატიული ქვეყანა“.**

Voice of America

# ედუარდ შევარდნაძე – მსოფლიო მნიშვნელობის საბჭოურ-ქართული ბედი

**როგორც ევროპის განყოფილების ხელმძღვანელი ინგო მანტოიფელი წერს, ქართველი პარტიული ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის დანიშვნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად 1985 წლის ივლისში მოულოდნელი ამბავი იყო.**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 57 წლის შევარდნაძეს დიპლომატიური გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მან იმ დროისათვის სწრაფი პარტიული და სახელმწიფო კარიერა გაიკეთა. საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად ყოფნის პერიოდში მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან (კაგებე-სთან) და მექრთამეობასთან, ნათლიმამობასთან მებრძოლის რეპუტაცია მოიპოვა. ასე რომ, მისი კანდიდატურა მიხეილ გორბაჩოვისათვის, რომელიც მანამდე რამდენიმე თვით ადრე სსრკ კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი გახდა, სავსებით შესაფერისი გახლდათ.

საქმე მარტო იმაში არ იყო, რომ ორივე — შევარდნაძეც და გორბაჩოვიც — წარმოშობით კავკასიიდან იყვნენ და ერთმანეთს ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან იცნობდნენ. ისინი ცდილობდნენ ახალი, მოდერნიზაციის პერსპექტივა მიეცათ უკვე საკმაოდ ძირმომპალი და მექრთამეობით გათანგულ, არაეფექტანად მომუშავე საბჭოთა კავშირის ეკონომიკისათვის, რომელიც 1980-იანი წლებისათვის სრულიად მოდუნებული, ერთ წერტილზე გაჩერებულიყო. უძრაობა ქვეყანაში გაბატონებულ კომუნისტური სისტემისა და გამარჯვებული სოციალიზმის ლეგიტიმურობას საფრთხით ემუქრებოდა. უკმაყოფილო მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად საჭირო იყო თანხების გადანაწილება მძიმე და თავდაცვითი მრეწველობის სფეროდან სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სფეროში... მაგრამ ამისათვის აუცილებელი გახდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული კონფრონტაციის შემცირება, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

## მინისტრი „ახალი აზროვნების“ პირობებში

**ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მყოფი ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ გორბაჩოვთან და მის „ახალ აზროვნებასთან“ ერთად, მსოფლიო ისტორიას ქმნიდა. მათ სახელებთანაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის მიერ აშშ-სთან ხელმოწერილი შეთანხმებები განიარაღების შესახებ, ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა და ჩაურევლობა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მომხდარ მშვიდობიან რევოლუციებში. ედუარდ შევარდნაძის სახელი, ისევე როგორც მიხეილ გორბაჩოვისა, განსაკუთრებით გერმანელებისთვისაა ძვირფასი,**

### გერმანულმა რადიოსადგურმა „დოიჩე ველემ“ გაავრცელა სარედაქციო კომენტარი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით



**რადგან მან ხელი შეუწყო ქვეყნის გაერთიანებას. იგი მუდამ დარჩება გერმანელი ერის მეხსიერებაში.**

ედუარდ შევარდნაძემ, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა „ორი პლუს ოთხი“ ფორმატის მოლაპარაკებაში, ძველი პარტიული კადრებისა და არმიის გენერლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მხარი დაუჭირა გერმანიის ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების გაერთიანებას. და ბოლოს, ედუარდ შევარდნაძე იყო ერთ-ერთი დიდი ფიგურა მსოფლიოს იმ წამყვანი მოღვაწეებიდან, რომლებმაც ბოლო მოუღეს ცივ ომს ზესახელმწიფოებს — საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამ ფაქტმა წარმოშობით ქართველ საბჭოთა მინისტრს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ამის მიუხედავად, ედუარდ შევარდნაძე 1990 წლის დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა. მან საჯაროდ გამოსვლის დროს დიქტატურის მოახლოება გამოაცხადა. დიქტატურაში გულისხმობდა იმ ძალებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში რეფორმების გატარებას ეწინააღმდეგებოდნენ. შევარდნაძე კიდევ რამდენიმე ხანს მუშაობდა გორბაჩოვის გარემოცვაში, მაგრამ 1991 წლის პუტჩისა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვში მისი ყოფნა ზედმეტი გახდა.

## სამშობლოში დაბრუნება

**თუმცა, მისი პოლიტიკური კარიერა ამით არ დამთავრებულა. შევარდნაძე დაბრუნდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დანგრეულ საქართველოში, რათა სათავეში ჩადგომოდა კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკას. 1992 წლის შემოდგომაზე გამართულ არჩევნებში მან უდიდესი მხარდაჭერა მიიღო. მომდევნო ათწლეულში, 1995 წლიდან, უკვე საქართველოს არჩეული პრეზიდენტის რანგში, აფხაზური და ოსური სეპარატიზმის მიუხედავად, შევარდნაძემ დაძაბული მცდელობის შედეგად ქვეყნის სტაბილიზება მაინც შეძლო.**

მაგრამ საქართველოში ედუარდ შევარდნაძის მიერ გატარებულ პოლიტიკას წარმატებულ ისტორიას ვერ ვუწოდებთ. მმართველობის ბოლო წლებში იგი ერთგვარ მუხრუჭად იქცა ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზაზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იგი უფრო მეტად საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებით იყო დაკავებული (კორუფციის მეშვეობით), ვიდრე სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნით. 2003 წლის შემოდგომაზე ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებამ მასობრივი პროტესტები და „ვარდების რევოლუცია“ გამოიწვია... ეს იყო ერთი მხრივ, სახელგატეხილი შევარდნაძის მმართველობის დასასრული, მეორე მხრივ კი — ხელისუფლების უსისხლოდ, მშვიდობიანი გზით შეცვლა.

ედუარდ შევარდნაძის გადადგომა 2003 წლის 23 ნოემბერს მისი პოლიტიკური კარიერის საბოლოო დასასრულს ნიშნავდა. იგი სრულიად ჩამოშორდა პოლიტიკას და მემუარების წერა დაიწყო. **„ჩემი მთავარი მიზანი იყო დემოკრატია“,** — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ „დოიჩე ველე“-სადმი მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში. ამ მიზანს მან მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მიღწეული წარმატებები, სამწუხაროდ, მისმა მოულოდნელმა პოლიტიკურმა ფიასკომ დაჩრდილა — იმ მოხუცი პრეზიდენტის რანგში, რომელიც ძალიან დიდხანს იყო ხელისუფლებაში.

**მოამზადა**
**სიმონ კილაძემ**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მწუხარებას გამოხატავენ საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, საერთაშორისოდ აღიარებული პოლიტიკოსისა და დიპლომატის, მსოფლიოში ცივი ომის დასრულებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ერთ-ერთი ინიციატორის

**ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს თეატრალური საზოგადოება უერთდება საერთო მწუხარებას ჩვენი დროის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის, ქართული თეატრისა და ქართული კულტურის მოამაგისა და მეგობრის

**ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. ედუარდ შევარდნაძის ღვაწლი და გულისხმიერი დამოკიდებულება ქართული ეროვნული კულტურისადმი სამაგალითოდ დარჩება ისტორიაში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

---

მაგთიკომის თანამშრომლები მწუხარებას გამოხატავენ ბატონი

**ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

რევაზ თევზაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი

**ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის შვილებსა და ოჯახის ახლობლებს.

---

მწუხარებას გამოვთქვამ დიდი პიროვნებისა და მსოფლიოში გამოჩენილი მოღვაწის

**ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო.

გიორგი გამცემლიძე

---

გრამიტონ კვარაცხელია და გიორგი ნაჭყებია მწუხარებას გამოთქვამენ

**ედუარდ შევარდნაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ინფორმაცია

## დაიწყო სამტრედია-გრიგოლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, მშენებლობა ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით შავლაშვილმა გუშინ გახსნეს.

პროექტით გათვალისწინებულია ახალი მიმართულების 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის მშენებლობა, 26 მიწისქვეშა გასასვლელისა და წყალგამტარი მილის მოწყობა, 8 სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, მათ შორის, 3 ხიდისა და 1 რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი-ესტაკადისა.

მშენებლობის ღირებულება 153 მილიონი ლარია, სამშენებლო პერიოდი კი 30 თვეს მოიცავს.

---

სანთელი

# კარლო ტუღუში

გარდაიცვალა ცნობილი მეტყევე-მეცნიერი, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **კარლო ტუღუში**.

დაიბადა 1935 წ., ქ. თბილისში. 1959 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტი. 1959-1990 წ.წ. მუშაობდა ვ. გულისაშვილის სახ. სამთო მეტყევეობის აფხაზეთის სატყეო საცდელ სადგურში. 1966-1987 წ.წ. იყო მისი დირექტორი. კ. ტუღუშის ხელმძღვანელობით აფხაზეთის სატყეო საცდელი სადგური ჩამოყალიბდა მცენარეთა ინტროდუქციისა და სელექციის დარგების მნიშვნელოვან სამეცნიერო დაწესებულებად. აქ დიდ ფართობზე წარმატებით გამოიცადა სწრაფად მოზარდი ბევრი ეგზოტიკური ხე და ბუჩქი. მან ბევრი გააკეთა აფხაზეთის ტყეების, პირველ რიგში წაბლნარების, შესწავლისა და დაცვისათვის; დაამუშავა მათი პროდუქტიულობის ამაღლების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული რეკომენდაციები; იყო ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი; მისი აქტიური მონაწილეობით აფხაზეთის ტყეებში აიკრძალა სამრეწველო ჭრები და სხვ. 1990 წ. სიცოცხლის ბოლომდე კ. ტუღუში მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღში (ამჟამად – საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი).

კ. ტუღუშის სამეცნიერო შრომები არასოდეს დაჰკარგავს მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კ. ტუღუშის – შესანიშნავი მეცნიერისა და ღირსეული კაცის – ხსოვნა დარჩება მისი კოლეგების მეხსიერებაში.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაცია

---

დედაქალაქი

# როდესაც ძველი თბილისი გვიმჩერს...

**„ეს არ არის სუპერსრული კატალოგი, რომლის ყოველი შემადგენელი ელემენტი სისტემატიზებულია და ზომა-წონის პარამეტრებიც ურთიერთშედარების ფერხულშია ჩაბმული.**

**ეს არის მხოლოდ და მხოლოდ თბილისში შეყვარებული, მასში ფეხით მოხეტიალე ადამიანისა და პატარა კამერა „პანასონიკის" ურთიერთშეთანხმებით 2012-2013 წლებში შექმნილი თბილისის სიყვარულისა და ძველი ქალაქის სევდიანი აწმყოს დამადასტურებელი", – ეს გახლავთ თბილისის სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის პროფესორის, არქიტექტორ ნოდარ სუმბაძის პროექტის „თბილისური კოლექციის" პირველი წიგნის „სადარბაზოების" წინასიტყვაობის მცირედი ამონარიდი.**



ამ უაღრესად საგულისხმო იდეის ავტორი მშობლიურ ქალაქში უზომოდ შეყვარებული, მისი მომფერებელი და ახლა უკვე გარკვეულწილად მემატიანეცაა, ვინაიდან არაჩვეულებრივად დასურათებული გამოცემის მნახველს XIX-XX საუკუნეების პირველ-მეორე ნახევრებში თბილისელთა საცხოვრებელი სახლების სადარბაზო შესასვლელების ნოსტალგიის მომგვრელ მომხიბლავ და ცოტა არ იყოს, მისტიკურ ბურუსში გახვეულ სამყაროს აზიარებს.

ჩემი მეგობრის ნოდარ სუმბაძის იდეის განხორციელების დასაწყისის მოსწრე თავად გახლავართ, მერეც ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს დედაქალაქის სხვადასხვა უბანში, როცა იგი თავისი განუყრელი ფოტოკამერით თბილისური სახლების სხვადასხვა კომპონენტს – სადარბაზოებს, ჭიშკრებს, ფანჯრებს, შიდა კიბეებს, რიკულებს, დეკორატიულ ნაძერწს, ვიტრაჟებს, მოზაიკას, ჭედურ დეტალებს თუ სხვას აღბეჭდავდა და ამ დიდად კეთილშობილური საქმის უნებლიე თანამონაწილედ მხდიდა.

„თბილისური კოლექციის" პირველ ტომში „სადარბაზოები" ძველი ქალაქის რამდენიმე უბნის ქუჩებზე ნაწილობრივ შემორჩენილი ძველი სახლების შესასვლელი კარებია აღბეჭდილი, რასაც, ეჭვი არ არის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ესთეტიკური, ასევე შემეცნებითი, კვლევითი, გნებავთ, ისტორიულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, ვინაიდან სახლების დიდი ნაწილი უკვე სოლიდური ასაკისაა, ვინ იცის, მათგან ბევრს იქნებ არსებობის დიდი ხანიც აღარ უწერია, ამიტომ მათი იერის შთამომავლობისთვის შემონახვა დიდად დასაფასებელი საქმეა.

პროექტის „თბილისური კოლექციის" მეორე ტომია „ფანჯრები", რომელიც „სადარბაზოების" ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს და იმავე პრინციპითაა შედგენილი. ფოტოკამერის სამზერიდან ნოდარ სუმბაძეს თბილისური სახლების ის ფანჯრები აქვს აღბეჭდილი, „რომლებიდანაც სოლოლაკისა და მთაწმინდის, ჩუღურეთისა და ვერეს სახლებში შედიოდა მემწვანილეებისა და დანების მლესავების, მოთამაშე ბავშვებისა და ნავთის გამყიდველების ხმები".

მოკლედ, „თბილისური კოლექციის" ორივე ტომში დედაქალაქის ძველი უბნების წარსულის ჩურჩულის ხმადაბალი, თუმცა, ჯერ კიდევ სავსებით გასარჩევი ხმა ჩაგვესმის. ამასთან, დიდად სასიხარულოა, რომ დედაქალაქის არქიტექტურული ისტორიის ამ ერთი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი მგენელის აღბეჭდვით შემოფარგვლას ნოდარ სუმბაძე მარტო სადარბაზოებითა და ფანჯრებით სულაც არ აპირებს: მის არქივში გამოსაცემად უკვე გამზადებული „თბილისური კოლექციის" მომდევნო ორი ტომია, რომლებზეც ძველი ქალაქის უბნების სახლების ლითონისა და ხის აივნები, თბილისური ეზოები და შუშაბანდები, ხვეული კიბეები და მოაჯირებია ასახული.

საქმე მხოლოდ მათ გამოცემაზეა...

**„ამ წიგნის დაბადებისთვის ჩემი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ეკუთვნის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ჩემს მეგობარ გურამ ოდიშარიას"** – ამბობს ნოდარ სუმბაძე „თბილისური კოლექციის" პირველი წიგნის წინასიტყვაობაში. მის სიტყვებს, დარწმუნებული ვარ, „სადარბაზოებისა" და „ფანჯრების" ყველა მნახველი და დამფასებელი გაიზიარებს, დასანანია მხოლოდ ორივე გამოცემის ძალიან მცირე – სულ 300-300 ეგზემპლარი – ტირაჟი, თუმცა კი ამითაც ავტორმა დიდი, თანაც მეტად საშური საქმე გააკეთა.

ძველი თბილისის ძირძველი იერსახე ყოველდღიურად რომ ქრება, ხშირად ბარბაროსულადაც რომ ისპობა, ამას ბოლო წლების მწარე გამოცდილება ადასტურებს. ამდენად, დედაქალაქის წარსულის თუნდაც ამ სახით შემონახვა, რომ იტყვიან, ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმეა.

დარწმუნებული ვარ, რომ „თბილისური კოლექციის" მომდევნო წიგნების გამოცემაში ავტორის მხარდაჭერით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს ამ მართლაც რომ ღირსშესანიშნავი პროექტის განხორციელებაში.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარინე იობიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარინე იობიძე (პირადი №60001015055), მის: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას ქ. №38/43;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას გამზირი (ყოფ. რუსთაველის გამზ.), №38 (160), (ყოფ. გორის ქ. №62) (საკადასტრო კოდი: 03.01.03.132.01.043);

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 27707.88 აშშ დოლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური – 1959.50 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2014 წლის 25 ივლისი, 15:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** ლევან მარდალეიშვილი (პირადი №60001024627),მის: ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას ქ. №38/43;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

**● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;**

**● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;**

**● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".**

**● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.**

*ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 25 ივლისის, 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.*

ზაფხულის სურნელი

# რომელი სუნამო შევარჩიოთ ცხელი დღეებისთვის

**ბევრი ქალისთვის კარგი განწყობილება განუყოფელია საყვარელი სუნამოს სურნელისაგან. მაგრამ სიცხეში პარფიუმით სარგებლობა შეიძლება, თუ გარკვეულ წესებს დავიცავთ.**

● **მინუს ბერგამოტი.** სუნამოს, რომელიც ბერგამოტის ზეთს შეიცავს, მზის სხივების გავლენით შეუძლია კანზე პიგმენტური ლაქები დატოვოს. თანაც თავად სუნამოებსაც აქვთ მეტად კონცენტრირებული არომატი, მზისა და მისი სხივების გახურებული კანის გავლენით კი ძლიერდება სუნი. შედეგად ვღებულობთ მეტად ძლიერ არომატს, რომელმაც შეიძლება ცუდად, განმზიდავად იმოქმედოს.



● **პლუს წყალი.** ზაფხულს უფრო შეეფერება ტუალეტის წყალი ანდა კიდევ უფრო ნაკლებად კონცენტრირებული პარფიუმირებული წყალი, ოდეკოლონი. პარფიუმერიის ამ სახეობებში არის წყალი, რომელიც ამსუბუქებს სპირტის მოქმედებას კანზე. მგრძნობიარე კანი კი რეაგირებას ახდენს გაცხელებული სპირტიანი კომპონენტების ზემოქმედებაზე გამაღიზიანებლად და დამწვრობითაც კი.

● **მინუს ჩვევები.** შეიძლება, წელიწადის ცივ დროში თქვენ გირჩევნიათ სანელებლიანი, ხის, მუშკის სუნი, რომელიც „გათბობის" ეფექტს იძლევა. მაგრამ ზაფხულში ასეთი სუნი შეიძლება მხუთავად მოგვეჩვენოს. სიცხისთვის უფრო მისაღებია მუბუქი, ჰაეროვანი, გამჭვირვალე პარფიუმერული კომპოზიციები ყვავილებისა, ხილისა, ციტრუსებისა, ბალახისა. თქვენი არომატი უნდა შეერწყას ბუნებას, აფეთქებული სიმწვანის სურნელს. მკვეთრი სურნელი უფრო მოსახერხებელი და მისაღებია საღამოსთვის.

● **მინუს ეკლექტიკა.** თუ თმებზე გაქვთ შამპუნისა და თმის ლაქის სურნელთა ნარევი, კანზე კი დეზოდორანტი, საყვარელი სუნამო დაიკარგება ამ არომატებს შორის.

ხდება ისეც, რომ სუნი სიცხეში უბრალოდ გვაღიზიანებს. მაშინ აირჩიეთ მოვლის ყველა საშუალება, ტუალეტის წყლისა და სუნამოების გარდა. შეიძლება გამოიყენოთ საშუალებები, რომლებსაც ერთი და იგივე არომატი აქვთ.

● **პლუს დეზოდორანტი.** ნუ იფიქრებთ, რომ, თუ თქვენ იყენებთ ტუალეტის წყალს, დეზოდორანტი აღარ გჭირდებათ. უფრო პირიქით — პარფიუმირებული დეზოდორანტის გამოყენება საშუალებას გვაძლევს გვერდი ავუაროთ ტუალეტის წყალს. დეზოდორანტი ზაფხულში, უბრალოდ, აუცილებელია. იგი კონტროლს უწევს სიცხეში გაზრდილ ოფლიანობას და თავიდან გვაცილებს არასასიამოვნო სუნს. აი, პარფიუმერიის დახმარებით ბრძოლა ოფლის სუნთან არ გამოგვივა. ტუალეტის წყალი, სუნამო, ნებისმიერი არომატი შეიძლება წავისვათ მხოლოდ სუფთა, ყოველგვარ სუნს მოკლებულ კანზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პარფიუმერული კომპოზიცია შეიძლება წარმოუდგენლად შეიცვალოს.

● **პლუს რელაქსაცია, ენერგია, ეროტიკა.** უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა პარფიუმერული სიახლეები მარკირებით „რელაქსის მომნიჭებელი". თბილი, ტკბილი, არსი — ხე-ყვავილების სურნელი, სადოლაზის ზეთის არომატი, პაჩული (ტროპიკული მცენარე — მისგან იღებენ ეთეროვან ზეთს საპარფიუმერიო მრეწველობისათვის) — გვანიჭებს სიმშვიდეს, სიწყნარეს, გვადუნებს. თუ არომატში მუშკისა და ამბრის ბევრი სურნელია — იგი გვმატებს ეროტიზმს. მაეროტიზებელი, განცხრომის მომნიავებელი სურნელი კარგია რომანტიკული პაემნებისთვის.

ციტრუსების საეთერო ზეთები — ბერგამოტი, ლიმონი, მანდარინი — მოქმედებენ გამამხნევებლად, გვაძლევენ სიახალგაზრდავის შეგრძნებას.

ჩვეულებრივად, საკმარისია სულ ერთხელ — ორჯერ ისარგებლო პარფიუმით, რომ გაიგო, თუ რა შეგრძნებას აღვიძებს იგი შენში. თუ არომატი ძალების მოზღვავებას, სიმხნევეს და სიხარულს განიჭებს, უმჯობესია, იგი გამოიყენო დილით ან დღისით. მაგრამ ნუ გამოიყენებთ ასეთ პარფიუმს ნერვული დაძაბულობის პერიოდებში. წინააღმდეგ შემთხვევაში სტრესი შეიძლება გაძლიერდეს. ასეთ სიტუაციებში უმჯობესია, მივმართოთ მომადუნებელ არომატს, რომელიც ჩვეულებრივ დღეებში საუცხოოა საღამოსთვის.

● **მინუს ძლიერი არომატი.** ზოგჯერ სუნამოებისადმი ზედმეტი გულმოდგინება თავის ტკივილს გვიჩენს. მაგრამ განსაზღვრო, ზედმეტი ხომ არ მოგვივიდა. გულმოდგინება პარფიუმთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად — საკმაოდ რთულია: თქვენ გამოკვეთილად გრძნობთ არომატს მხოლოდ მაშინ, როცა მას იყენებთ პირველად ორჯერ. შემდეგ თანდათანობით ხდება ყნოსვის ადაპტირება სურნელებისადმი, და სულ გვეჩვენება, რომ გამოვიყენეთ არასაკმარისი პარფიუმი. როდესაც შეიპკურებთ სუნამოს, შეიძლება ჰკითხო ოჯახის წევრს არომატის ძალის შესახებ, თქვენგან რომ მოდის, და განსაზღვრო საკუთარი თავისათვის პარფიუმის ოპტიმალური დოზა.

პარფიუმი მიღებულია წავისვათ ეგრეთ წოდებულ „თბილ" ადგილებში. ესე იგი იმ ადგილებში, სადაც ახლოსაა განთავსებული სისხლძარღვები. ესაა — იღლია, მაჯა, იდაყვის შიდა ნაწილი, ყურსუკანა ადგილი და ყელი. ძალიან კარგია არომატის წამსმა მუხლის ქვემოთ — სიარულის დროს იგი თქვენს გარშემო ღრუბელივით გავრცელდება. და ეს საშუალებას მოგცემთ არ დაისხათ სუნამო ლიტრობით.

**ალისა მგელაძე**

ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო" უებარი წამალია





**„სალხინო"** აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

**„სალხინო"** სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს"** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

**„სალხინოში"** შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**„სალხინო" იკითხეთ აფთიაქებში.**

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

კრიმინალი

## ბრიტანეთის მოქალაქემ აკრძალული მედიკამენტი შემოიტანა

**ბათუმის აეროპორტში რეისით სტამბოლი-ბათუმი დიდი ბრიტანეთის მოქალაქემ ჰ.დ. აკრძალული მედიკამენტი შემოიტანა.**

**შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვები პუნქტის „ბათუმის აეროპორტის" მებაჟე ოფიცრებმა დათვალიერების შედეგად მგზავრის ბარგში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი KAPAKE (Codeine 15 მგ)- 20 აბი აღმოაჩინეს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

**კვდება მოხუცი ებრაელი. ცოლი საწოლთან უზის.**

**— ვკვდები, სარა. ახლა მაინც მითხარი სიმართლე: ყოველთვის ჩემი ერთგული იყავი? არასოდეს არ გიღალატია ჩემთვის?**

**— აბრამ... შენ ნაღდად გრძნობ, რომ აწი ვერ წამოდგები?..**

* * *

**მატარებელი სამი საათის დაგვიანებით ადგას გზას. გამცილებელი მგზავრს ბილეთს სთხოვს.**

**— რატომ უნდა გაჩვენოთ ბილეთი? განრიგით უკვე სახლში უნდა ვიყო.**



* * *

**— იძნებ უკვე შენობით მივმართოთ ერთმანეთს? — ეუბნება ბიჭი გოგოს.**

**— ძალიან ხომ არ აჩქარებთ მოვლენებს? უმჯობესია, ჩემი ლიფი მომაწოდოთ...**

**— სად არის?**

**— იატაკზე გდია თქვენი ტრუსების ქვეშ...**

* * *

**— ღვინოს დალევთ თუ არაყს?**

**— ლუდსაც...**

* * *

**— ხაიმ, დღეს შობაა. წავიდეთ, დავლიოთ!**

**— აბრამ, მაგრამ ეს ხომ ჩვენი დღესასწაული არ არის.**

**— შენი ვერაფერი ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება, რომ ერთმა ებრაელმა დალიოს მეორე ებრაელთან მესამე ებრაელის დაბადების გამო?**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ზოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24